საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟ44/2 №13 002

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 5 (1022)
ხუთშაბათი, 12 იანვარი, 1995 წელი.
ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო—უკრაინა: ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპი

თავისუფალი და დამოუკიდებელი უკრაინის პრეზიდენტის პირველი ვიზიტი დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში წარმატებით დამთავრდა

ოფიციალური სადილი უკრაინის პრეზიდენტის პატივსაცემად

9 იანვარს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ოფიციალური სადილი გაუმართა უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას.

სადილზე ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა სიტყვები წარმოთქვეს.

ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

ძვირფასო ლეონიდ დანიელის ძევ!

სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება თქვენს ვიზიტს საქართველოში ისტორიული ეწოდოს თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ სუვერენული უკრაინის სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი ბრძანდებით, რომელიც ამ ქვეყანას ეწვიეთ. ისტორიამ ისეთნაირად განსაჯა, რომ ჩვენი ხალხები, საუკუნეობრივი მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ შეუდგნენ სრულფასოვან სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა მშენებლობას. და მაინც ჩვენი დიდი წინაპრების მიერ შექმნილი და ნალოლიავები მეგობრობისა და ურთიერთსიმპათიების უზარმაზარი პოტენციალი გახდა ამ პროცესის დინამიკური განვითარების მტკიცე და ხელშემწყობი საფუძველი. დღეს უკრაინასა და საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა ითანამშრომლონ როგორც დამოუკიდებელმა სუვერენულმა სახელმწიფოებმა. ეს იყო ჩვენი ხალხების სანუკვარი სურვილი და ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ ნამდვილად დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოების შესაქმნელად. ჩვენ ზოგი რამ უკვე შევძელით, კიევსა და თბილისში ფუნქციონირებს საელჩოები, იქმნება სამართლებრივი ბაზა, ხელმოწერილია სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებანი. ჩვენ ვიმედოვნებ და გვჯერა, რომ თქვენი ვიზიტი ნიშანსვეტი გახდება ჩვენი ხალხების ურთიერთობაში და ახალ მძლავრ სტიმულს მიანიჭებს უკრაინასა და საქართველოს შორის მეგობრული ხიდების მშენებლობის დაჩქარებას.

უკრაინამ უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციაში, მეცნიერებასა და კულტურაში. როცა მსოფლიო დემოკრატიული პროცესის განვითარებაში თქვენი ქვეყნის როლზე ვლაპარაკობთ, უწინარესად უნდა აღინიშნოს ფაშიზმზე გამარჯვებაში შეტანილი უდიდესი წვლილი, დღეს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ორმოცდაათი წლისთავის წელს. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საქართველოს ხალხი ამ ომში თქვენი ხალხის, სხვა ხალხების მხარდამხარ იბრძოდა. ათიათასობით ჩვენი თანამემამულე გმირულად დაიღუპა უკრაინის მიწა-წყალზე.

ნათქვამია, მეგობარი ჭირში იცნობაო. შარშანწინ შემოდგომაზე საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურება. თავი რომ დაეღწიათ აფხაზ სეპარატისტთა და დაქირავებულ მკვლელთა ბანდიტური ფორმირებებისაგან, რომლებმაც მშვიდობიანი მოსახლეობის უსასტიკესი ეთნიკური წმენდა მოაწყვეს, ათიათასობით მოხუცი, ქალი და ბავშვი იძულებული იყო მთის ბილიკებით დაეტოვებინა მშობლიური კერები და გადაერჩინა თავი. ბევრი მათგანი სამუდამოდ დარჩა ნაადრევი თოვლით დაფარულ ხეობებში, რადგან ვერ გაუძლო საარტილერიო სროლას, შიმშილს, სიცივესა და აუტანელ გაჭირვებას. მაშინ სვანეთი უბედურების ზონად გამოცხადდა. სამოქალაქო ომით დაუძლურებულმა საქართველომ დახმარება სთხოვა თავის მეგობრებს მთელ მსოფლიოში. უკრაინამ პირველმა გამოუწოდა მას დახმარების ხელი და ვერტმფრენები გამოგზავნა. ჩვენი ხალხი არასოდეს დაივიწყებს უკრაინელ მფრინავებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის რისკით გამოჰყავდათ სასიკვდილოდ განწირული ადამიანები კოდორის ხეობიდან მთის უღელტეხილების გავლით. მათი თავგანწირვისა და გმირობის წყალობით გადარჩა ათასობით სიცოცხლე. განა ეს არ არის იმის დასტური, რომ ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმობა მარტოოდენ წარსულის მონაპოვარი არ არის.

ჩვენი ქვეყნების ბედში ბევრი რამ არის საერთო. სწორედ ბედმა გვარგუნა რამდენიმე საუკუნის მანძილზე ისტორიის საერთო მორევში ვეტრიალა და როცა ცვლილებათა ტალღამ ნაპირზე გამოგვრიყა, რთული პრობლემების წინაშე დავდექით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასტარტო პირობები განსაკუთრებით არახელსაყრელი გამოდგა. თავად განსაჯეთ — დამოუკიდებელი განვითარების პირველი სამი წლის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ ორი ინსპირირებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი გადაიტანა, რომელთა შედეგად 300.000 კაცი გამოდევნილი იყო მშობლიური ადგილებიდან და ლტოლვილად იქცა საკუთარ ქვეყანაში. ქვეყნის სახელმწიფოებრიობასა და ეკონომიკას საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა პირველი, პოსტკომუნისტური ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობამ და ერთგვარმა ირაციონალურმა, დესტრუქციულმა მიმართულებამ, რომელიც კომუნიზმთან ბრძოლის ნიღბით ანგრევდა თავის გზაზე ყველაფერს, რის დანგრევაც კი შეიძლებოდა. ჩვენ ფაქტობრივად თავიდან ვიწყებთ სახელმწიფოს მშენებლობას, რასაც უდიდესი ძალისხმევა და თითოეული მოქალაქის თავგანწირვაც კი სჭირდება.

ახლა დღის წესრიგში დგას ორი ძირითადი პრობლემა — ძირეული ეკონომიკური რეფორმების დამთავრება და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეკონომიკური რეფორმები, რომლებსაც გასული წლის გაზაფხულიდან მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციითა და მონაწილეობით ვახორციელებთ, ომით გაწამებული ქვეყნისათვის კიდევ ერთი გამოცდაა, მაგრამ, ჩვენ გვესმის, რომ ამის გარეშე შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე აშენებული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. ახლა უკვე შეიძლება ლაპარაკი რეფორმის პირველ დადებითს შედეგებზე და ეს ადამიანებს იმედს უსახავს. მე ღრმად მწამს, რომ საქართველოს მოქალაქენი ამ განსაცდელის ჟამს ჩვეულ სიმშვიდეს გამოიჩენენ და შეძლებენ ღირსეულად დაამთავრონ ეს სახელმწიფოსათვის ჭეშმარიტად საარსებო მნიშვნელობის გარდაქმნები.

ორ წელზე მეტი გავიდა აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების მომენტიდან. ასიათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას. ათასობით კაცი შეეწირა ერის თვითგამორკვევის იდეით შენიღბული დანაშაულებრივი რეჟიმის ქმედებას, აფხაზეთში, ალბათ, ყველაზე შეუნიღბავი ფორმით გამოავლინა თავისი არსი აგრესიულმა სეპარატიზმმა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ყველა საერთაშორისო ფორუმზე ჩვენ დაუღალავად, მაგრამ, ვაი რომ, წარუმატებლად ვიმეორებდით — აფხაზეთის ტრაგედია უფრო ფართომასშტაბიან უბედურებათა მარტოოდენ დასაწყისია, რომ აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა და სისხლისღვრა ბუმერანგივით დაუბრუნდებათ ვერაგული ზრახვების ორგანიზატორებსა და შემსრულებლებსო. დღეს ჩვენ კვლავ ვიმეორებთ: აგრესიული სეპარატიზმი დამოკლეს მახვილია იმ სახელმწიფოებისთვისაც, რომლებიც არც კი ეჭვობენ, რომ ასეთი საფრთხე არსებობს. მას ერთად უნდა ვებრძოლოთ. სხვაგვარად იგი გადაიქცევა სნეულებად, რომელიც თავს იჩენს სულ უფრო ვრცელ სივრცეებზე. ეს უმძიმესი დანაშაულობანი, ახლანდელმა სეპარატისტულმა რეჟიმმა რომ ჩაიდინა აფხაზეთში, არანაკლებ ტრაგედიად იქცა რუსეთში. ჩვენ ჯერ ისევ აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრე ვართ, მაგრამ გაუთავებელი ლაპარაკი მშვიდობაზე უაზრო ხდება, თუ მას არ მოჰყვება გარკვეული კონკრეტული ნაბიჯები, სეპარატისტულმა ხელისუფლებმა, რომლებიც ახლა აფხაზეთში არიან, უნდა იცოდნენ, რომ მათ ავანტიურისტულ მიზნებს ახდენა არ უწერიათ. ჩვენ მოვუწოდებთ სახელმწიფოებს, რომლებიც კონფლიქტის უსწრაფესად გადაწყვეტით არიან დაინტერესებულნი, დაარწმუნონ ისინი ამაში.

რაც შეეხება დამაიმედებელ ცვლილებებს, მე აღვნიშნავდი ამ ბოლო ხანს გამოვლენილ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების სიმპტომებს.

ყველა ეს საკითხი აისახა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ბუდაპეშტის უმაღლესი დონის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტში, რომელშიც, ბოლოს და ბოლოს, საგნებს თავისი სახელი ეწოდათ და იმას, რაც აფხაზეთში მოხდა, ეთნიკური წმენდის შეფასება მიეცა. ამასთანავე, სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს მთავრობის ახლანდელ კურსს, რომლის მიზანია სამართლებრივი და დემოკრატიული ინსტიტუტების აშენება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ადამიანის ფუძემდებელი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ჩვენ დიდად გემადლიერებით თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, რომ სეპარატისტთა დანაშაულებრივი რეჟიმის ესოდენ მკაცრ დაგმობასა და მსოფლიო გაერთიანების მიერ ჩვენი ძალისხმევის ესოდენ მაღალ შეფასებაში მძლავრად გაისმოდა უკრაინის ხმა.

ბოლო წლების მანძილზე მსოფლიოში გრანდიოზული ცვლილებები მოხდა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ ევროპაში უნდა შეიქმნას უშიშროების ახალი სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს ყველა სახელმწიფოს, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ინტერესებს, უკრაინამ და საქართველომ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ასეთი ერთიანი სისტემის შექმნაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამაში ერთმანეთს ემთხვევა ჩვენი ქვეყნების დიდი ხნის ინტერესები. მაგრამ ევროპის უშიშროების ახალი და სამართლიანი სისტემა შეუძლებელია, თუ არ იქნება სტაბილური, დემოკრატიული და ერთიანი რუსეთი. მე ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ვაცხადებ: არავის არა აქვს უფლება აუკრძალოს რუსეთს თავისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. თუ რუსეთი არ აღკვეთს სეპარატიზმის გამოვლინებებს, ბუნებრივია, ადამიანის უფლებათა დაცვის პირობებში, იგი დაიშლება როგორც სახელმწიფო. ეს იქნება იუგოსლავიის ტრაგედიის განმეორება, მაგრამ გაცილებით დიდი მასშტაბით. ამ ტრაგედიაში ჩაბმული აღმოჩნდებიან ის სახელმწიფოებიც, რომლებიც დღეს, სიტუაციის შეფასებისას, ორმაგი სტანდარტით სარგებლობენ. რუსეთისათვის ამ მძიმე დღეებში მინდა გამოვთქვა ჩემი მწუხარება ჩეჩნეთში ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანის დაღუპვის გამო. მე პირადად ვიცნობ ჩეჩნეთის ბევრ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, რომელთაც ძალუძთ თავიანთი წვლილი შეიტანონ კავკასიაში მშვიდობის მშენებლობის საქმეს.

სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ რეგიონულმა ორგანიზაციებმა, სადღეისოდ. ჩვენი ორი ქვეყნისათვის ეს, უწინარესად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაა, უკრაინასა და საქართველოს შეუძლიათ და კიდევაც უნდა შეუწყონ ხელი თანამეგობრობის პოტენციალის კიდევ უფრო სრულად გამოვლენას, იმას, რომ რეალური შინაარსით გამდიდრდეს თავად იდეა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა, რომელიც უნდა გახდეს ევრაზიის ფართო სივრცეებზე მშვიდობის, სტაბილურობისა და ეკონომიკური აღორძინების ქმედითი ინსტრუმენტი. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა გახდეს ნამდვილად საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მისი წევრების ნამდვილი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ფორმირებასა და ჩამოყალიბებას. მხოლოდ ამ საფუძველზე, სრული ნდობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე შეგვიძლია მივაღწიოთ რეალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას, სულიერ დაახლოებას. მაგრამ, აგრესიული სეპარატიზმი, რომელსაც რეგიონული კონფლიქტების გამჩაღებლები ხელისუფლების დაპყრობისა და საზღვრების გადაკეთებისათვის იყენებენ, საფრთხეს უქმნის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში სუვერენულ სახელმწიფოთა დაშლას, საფრთხეს უქმნის მთელ, ჯერ კიდევ სუსტ თანამეგობრობას. სამწუხაროდ, დიდმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ და მოეგვარებინათ ასეთი კონფლიქტები. ამან გვაიძულა ამას წინათ ბუდაპეშტში კრიზისისწინა სიტუაციად შეგვეფასებინა მდგომარეობა, რომელშიც ისინი დღეს აღმოჩნდნენ. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ახლანდელ ეტაპზე სამშვიდობო ოპერაციებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ამ კონფლიქტების უსწრაფესად გადაწყვეტაში. რეჟიმებმა, რომლებმაც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩაიდინეს ისეთი დანაშაულობანი, როგორიცაა ეთნიკური წმენდაა, უნდა იცოდნენ, რომ მსოფლიო გაერთიანება ვერ შეურიგდება იმას, რომ მათი მყისიერი ინტერესების მძევლებად გახდნენ მისი გრძელვადიანი სტრატეგიული ინტერესები, რომლებიც გულისხმობს სახელმწიფოთა სტაბილურ და მშვიდობიან განვითარებას, როგორც თითოეული პიროვნების, ასევე საერთოდ ხალხების საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების სრულად დაცვის პირობებში. სხვაგვარად საფრთხე შეექმნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების შემდგომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპებზე.

საქართველოსა და უკრაინას, როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყნებს, აქვთ შესაძლებლობა გახდნენ დამაკავშირებელი რგოლი ევროპასა და აზიას შორის. ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივას, რომელშიც მონაწილეობს უკრაინაც — სახელმწიფო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონისა და მთლიანად ევროპის სტაბილური განვითარებისათვის. წელს საქართველოს შესაძლებლობა მიეცა მასპინძლობა გაეწია ორგანიზაციის სამი ფორუმისათვის, მათ შორის შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისათვის, რომელზეც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა შემდგომი ურთიერთხელსაყრელი ინტეგრაციის გზაზე.

ჩვენ საქართველოში ხშირად ვკამათობთ იმაზე, მაინც რა არის ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე დიდი მონაპოვარი. გამოცდის ბოლო, უმძიმესი წლები უფლებას გვაძლევს ვამტკიცებდეთ, რომ საქართველოს ყველაზე დიდი მონაპოვარი მისი ახლო და შორეული მეგობრებია. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენთვის სულიერად და მისწრაფებებით ახლობელ მეგობართა შორის არის უკრაინა — დიდი სახელმწიფო, რომელიც ძირეული დემოკრატიული რეფორმების გზას ადგას. დარწმუნებული ვართ, რომ თავისი ბუნებრივი რესურსების, მაღალი ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალის, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და, რაც მთავარია, ხალხის შრომისმოყვარეობისა და სიბრძნის წყალობით თქვენი ქვეყანა გახდება მშვიდობისა და სტაბილურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებასთან უკრაინის შეერთება. ეს პოლიტიკური ვაჟკაცობის მაგალითია, ძნელი, მაგრამ გაბედული და ბრძნული გადაწყვეტილებაა, რომელიც ქვეყნის უშიშროების გაცილებით მეტ გარანტიებს იძლევა, ვიდრე ბირთვული ქობინები და მათი მატარებელი თვითმფრინავები.

პატივცემულო ლეონიდ დანიელის ძევ, ნება მიბოძეთ გადღეგრძელოთ თქვენ, ლუდმილა ნიკოლოზის ასული, და გისურვოთ ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და გამარჯვებათა სიხარული ამ უაღრესად რთულ, მაგრამ საპატიო გზაზე, და თქვენი სახით მშვიდობა, ბედნიერება და აყვავება ვუსურვო მთელ უკრაინელ ხალხს.

სურათზე: უკრაინა-საქართველოს ურთიერთობათა დოკუმენტების ხელმოწერის დროს.
ს. ედიშერაშვილის და გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლეონიდ კუჩმას სიტყვა

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

ქალბატონებო და ბატონებო!

ძვირფასო მეგობრებო!

მინდა, უწინარესად, გულითადი მადლობა მოგახსენოთ საქართველოს რესპუბლიკაში მოწვევისათვის, ჭეშმარიტად ძმური, გულითადი მასპინძლობისათვის, რომელიც ვიგრძენით თქვენს უძველეს და მშვენიერ მიწაზე ყოფნის პირველი წუთებიდანვე.

უკრაინა-საქართველოს ურთიერთობის ისტორია ცხადყოფს, რომ ვერც შავმა ზღვამ და ვერც კავკასიონის ჭაღარა მწვერვალებმა ვერ შეძლეს ჩვენი ხალხების დაშორიშორება. ყველა დროში ჩვენ შორის სუფევდა მშვიდობა, თანხმობა და ურთიერთგაგება. მათთვის მუდამ იყო დამახასიათებელი სამართლიანობის, სხვისი ჭირის გაზიარების გრძნობები, გაჭირვებაში ერთმანეთის დახმარების სურვილი.

საკმარისია დავასახელოთ გამოჩენილი უკრაინელი პოეტი ტარას შევჩენკო, რომელმაც აღიმაღლა ხმა კავკასიის დამონების წინააღმდეგ:

Борітеся — поборете,
Вам бог помогае.

ამავე დროს, ტარას შევჩენკოს მეგობარმა მიკოლა გულაკმა, რომელიც პოლიტიკურ გადასახლებაში იყო კავკასიაში, თავის ლიტერატურულ ნაშრომში არაქართველთაგან პირველმა დაანახვა მსოფლიოს რუსთაველისა და მისი უკვდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერი ხატება. ჩვენმა ლესია უკრაინკამ თავისი უკანასკნელი დღეები თქვენს ქვეყანაში გაატარა. ასევე უკრაინაც სათუთად უვლის დავით გურამიშვილის საფლავს.

ჩვენ ვამაყობთ კიევის უნივერსიტეტთან არსებული ქართველოლოგთა სკოლით, სადაც უკვე რამდენიმე წელია ისწავლება ქართული ენა. ამავე დროს სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ უკრაინისტიკის სკოლის მეთაური საქართველოში ოთარ ბაქანიძე ამ ცოტა ხნის წინათ კიევის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არის არჩეული.

ჩვენს ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანთა ახლანდელმა თაობამ მეგობრობის ესტაფეტა რთულ ხანაში მიიღო. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია გულწრფელი მადლიერების გრძნობით არ გავიხსენო ის დახმარება, რომელიც ქართველმა ხალხმა გაუწია უკრაინას ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში ავარიის შემდეგ. ჩვენი მხრივ უწმინდეს მოვალეობად მივიჩნიეთ დახმარების ხელი გამოგვეწოდებინა საქართველოსათვის აფხაზეთის მოვლენების დროს.

საქართველო და უკრაინა იძულებული არიან გადალახონ წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული მრავალრიცხოვანი სიძნელეები. ამასთან დაკავშირებით უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ იმ ფაქტს, რომ უკრაინაშიც და საქართველოშიც გაგებით შეხვდნენ ჩვენს ქვეყნებს შორის თანამოქმედების გაღრმავების საარსებო აუცილებლობას.

ჩვენი დელეგაცია ჩამოვიდა თქვენთან იმ იმედითა და სურვილით, რომ ერთად დავძლიოთ ნგრევის ინერცია, აღვადგინოთ დაკარგული ურთიერთობანი, განვსაზღვროთ კრიზისის ჭაობიდან გამოსვლის, ეკონომიკის რეფორმირების, ჩვენი ხალხების ცხოვრების დონის ამაღლების გზები.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან გამართულმა მოლაპარაკებამ ცხადყო, რომ ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებში არის მნიშვნელოვანი გამოუყენებელი პოტენციური შესაძლებლობანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევს თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ უკრაინა-საქართველოს თანამშრომლობა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სამთავრობათშორისო კომისიის შექმნას, რომელიც უკვე ხელმოწერილ შეთანხმებათა შესრულებისადმი კონტროლის ქმედითი მექანიზმი უნდა გახდეს, აგრეთვე ბიძგი მისცეს თანამშრომლობის ახალ პროექტებსა და ფორმებს. თბილისში გამართულმა აზრთა გაზიარებამ ცხადყო, რომ არსებობს პროექტები, რომელთა შემუშავებასა და რეალიზაციას ახლავე შეიძლება მოჰკიდოს ხელი კომისიამ.

ცხოვრება მოითხოვს, რომ ჩვენ არა მარტო აღვადგინოთ საწარმოთა ძველი კოოპერაციული ურთიერთობანი, არამედ, ამავე დროს, ეკონომიკურ თანამშრომლობაში გადავიდეთ უფრო ეფექტიან და სრულყოფილ ფორმებზე, მეურნეობის გაძღოლის საბაზრო ფორმებზე.

საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოსთან უფრო მჭიდრო თანამოქმედება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა ფარგლებში. ჩვენ დიდად ვართ დაინტერესებული, მაგალითად, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის უფრო ეფექტიანი ერთობლივი გამოყენებით.

ჩვენი პოზიციები ერთმანეთს უახლოვდება სახელმწიფოებრიობის განვითარებისა და დაცვის საკითხში. სავსებით კანონზომიერია, რომ უკრაინა გაგებით ეკიდება ქართველი ხალხის, მისი ხელმძღვანელობის კანონიერ მისწრაფებას — შეინარჩუნონ სახელმწიფოს მთლიანობა, და მხარს უჭერს მის ძალისხმევას ამ მიმართულებით. თანაც იმედოვნებს, რომ არსებული კონფლიქტები გადაწყდება მშვიდობიანი გზით, პოლიტიკური დიალოგის გზით.

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

მეგობრებო!

წლევანდელი წელი განსაკუთრებულია. მასში სრულდება ფაშისტურ გერმანიაზე ისტორიული გამარჯვების 50 წელი. პლანეტის მრავალი ხალხი ემზადება ამ ზეიმისათვის.

რაც შეეხება უკრაინასა და საქართველოს, დღეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი სახელმწიფოების ხალხები ყოფილი კავშირის ყველა რესპუბლიკის ხალხების მხარდამხარ ერთად ებრძოდნენ საერთო მტერს და გაიმარჯვეს, იხსნეს ცივილიზაცია მიხაკისფერი ჭირისაგან. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოვლენის ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩვენი ადამიანების გულში და შთააგონებს მათ სიძნელეთა დაძლევას, ახალი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას.

უკრაინის დელეგაცია საქართველოს რესპუბლიკას ვიზიტად ეწვია ახალი 1995 წლის დამდეგს იმ რწმენით, რომ იგი მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება უკრაინა-საქართველოს თანამშრომლობის განვითარებაში. ჩვენი რწმენა კიდევ უფრო განამტკიცა იმან, რომ ქართული მხარეც ასევე ესწრაფვის ახალი, ახლანდელი რეალიების შესაბამისი ორმხრივი ურთიერთობის მშენებლობას. ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენს ერთობლივ ძალისხმევას დადებითი შედეგები მოჰყვება.

ვტოვებთ საქართველოს სტუმართმოყვარე მიწას და თან მიგვაქვს თქვენთან შეხვედრების კეთილი, გულთბილი გრძნობები, რწმენა, რომ ჩვენს ურთიერთობას შესანიშნავი პერსპექტივა აქვს.

დასასრულ, ნება მიბოძეთ გისურვოთ თქვენ, ძვირფასო ედუარდ ამბროსის ძევ, აგრეთვე მთელ ქართველ ხალხს მშვიდობა, ბედნიერება, წარმატებანი და კეთილდღეობა.

გთავაზობთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძისა და მისი მეუღლის სადღეგრძელოს!

შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას ვუსურვებ უკრაინა-საქართველოს მეგობრულ ურთიერთობას!

დღეგრძელობას ვუსურვებ ყველა აქ დამსწრეს!

• • •

10 იანვარს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ და საქართველოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამართეს ბრიფინგი, რომელზეც პრესის წარმომადგენლებს გააცნეს ინფორმაცია ვიზიტის დროს გაწეული მუშაობისა და მისი შედეგების შესახებ. მათ მაღალი შეფასება მისცეს გამართულ მოლაპარაკებებსა და ხელმოწერილ დოკუმენტებს. ორი სახელმწიფოს მეთაურებმა გამოთქვეს რწმენა, რომ უკრაინისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ურთიერთობა განვითარდება და გაღრმავდება თვისებრივად ახალ საფუძველზე.

ამავე დღეს, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა სამშობლოში გაემგზავრა. თბილისის აეროპორტში იგი გააცილეს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ, პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. საპატიო სტუმრის პატივსაცემად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

შეხვედრა უკრაინის დიასპორის წარმომადგენლებთან

შთამბეჭდავი იყო უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას შეხვედრა საქართველოში მცხოვრებ უკრაინელებთან — უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებთან. დიასპორის პრეზიდენტი მიხეილ ბორისი მიესალმა საპატიო სტუმარს და მოკლედ მოუთხრო საქართველოში მცხოვრებ უკრაინელებზე, რომელთათვისაც საქართველო მეორე სამშობლოდ იქცა. ბატონ პრეზიდენტს ასევე მიესალმნენ დიასპორის სხვა წევრები. ვალერი გრიჩანენკომ უკრაინულად წაიკითხა თავისი სამშობლოსადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

— მინდა ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოში მოწვევისათვის. — განაცხადა შეხვედრაზე უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ. — თუმცა მძიმე დღეებში მიხდება აქ ყოფნა, მაგრამ ესეც გასაგებია, რადგან სწორედ მძიმე დღეებში უნდა ვიყოთ ერთად. უკრაინაში არსებული სიძნელეების მიუხედავად, მზად ვარ დავეხმარო საქართველოს, ქართველ ხალხს, ჩემს თანამემამულეებს — უკრაინელებს, რომლებმაც აქ მეორე სამშობლო იპოვეს. ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი ბავშვები იქნებიან. მათთვის შევიმუშავებთ ფართო პროგრამას.

ბატონმა ლეონიდ კუჩმამ მადლობა მოახსენა თანამემამულეებს გულთბილი შეხვედრისათვის.

უკრაინული დიასპორის წევრებს სიტყვით მიმართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ უკრაინელებს მან მადლობა მოახსენა სულგრძელობისა და თანადგომისათვის. მთავარია, თქვა მან, — ჩვენს ქვეყნებს შორის აღდგეს ეკონომიკური კავშირურთიერთობა, რაც ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება. უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტს საქართველოში ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენს ურთიერთობაში იწყება ახალი ეტაპი.

— ვიცი, — თქვა შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ საქართველო დატოვა ზოგიერთმა უკრაინელმა მოქალაქემ. გთხოვთ, გადასცეთ უკრაინელ თანამოქალაქეებს, რომ ნუ დატოვებენ საქართველოს. ხვალ უკეთესი ცხოვრება იქნება.

შეხვედრას ესწრებოდა უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანატოლი კოსიანენკო.

სურათზე: პრესკონფერენციის დროს. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველო — უკრაინა:

დაუვიწყარი შეხვედრები, აღსავსე კარგი, სასიკეთო შინაარსით

ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით

— ამ სიტყვების ჭეშმარიტება თვალნათლივ დაადასტურა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების შეხვედრამ უკრაინის პრეზიდენტთან ლეონიდ კუჩმასთან, რომელიც 10 იანვარს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში. ეს იყო შთამბეჭდავი შეხვედრა, რომელზეც ერთხელ კიდევ გამოიკვეთა იმ დიდი და ძმური ტრადიციების ცხოველმყოფელობა, საქართველოსა და უკრაინას საუკუნეების მანძილზე რომ აკავშირებდა. ამ დღეს იქ შეკრებილთ სულიერ მოთხოვნილებად ექცათ ხშირად გაეხსენებინათ ჩვენი მეგობრობის მატიანის არაერთი სახელოვანი ფურცელი, ხშირად გაემეორებინათ დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას, აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოს, სიმონ ჩიქოვანისა და მაქსიმ რილსკის, ირაკლი აბაშიძისა და მიკოლა ბაჟანის, ორი ხალხის სხვა გამოჩენილ შვილთა სახელები, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველ და უკრაინელ ხალხთა ძმობა და მეგობრობა.

ერთი რუსი მწერლის თქმისა არ იყოს, ეს მეგობრობა კი არა, ნამდვილი ნათესაობაა. განვლილმა წლებმა არაერთხელ დაამტკიცეს ამ სულიერი ნათესაობის უძლეველობა. ქართველები და უკრაინელები მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, ერთად გადაჰქონდათ ლხინი და ჭირი, უმსუბუქებდნენ ერთმანეთს სიძნელეებს. ასეთი თანადგომა კი დღეს საოცრად გვეჭირდება, რადგან ორივე სახელმწიფოს დღეს მძიმე დღეები უდგას და ჩვენ ერთმანეთს უფრო ვეჭირდებით. ამ შეხვედრაზე გონებაში თავისთავად ამოტივტივდა ჩვენი კულტურის დიდი მეგობრის მიკოლა ბაჟანის სიტყვები, რომლებიც მან ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ მოსწერა პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს: „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიქნები საქართველოს მადლიერი და მადლიერი მისი გაცნობის, მისი ადამიანებთან მეგობრობის, მისი კულტურის ქმნილებებით მონიჭებული ბედნიერებისათვის". უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილის ეს სიტყვები ესტაფეტად უნდა აიტაცოს მომავალმა თაობებმა, რათა ჩვენი ტრადიციული ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდეს, განმტკიცდეს, ახალი შინაარსით გამდიდრდეს.

შეხვედრა გახსნა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ალბერტ თავხელიძემ.

ქართულ-უკრაინული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა და ძმობის, ქართველ და უკრაინელ მწერალთა, მეცნიერთა თანამშრომლობის, ამ ნაყოფიერი ურთიერთობის განახლებისა და გაღრმავების აუცილებლობის შესახებ ისაუბრეს თავიანთ გამოსვლებში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა ოთარ ბაქანიძემ, საქართველოს სახალხო არტისტმა, უკრაინის დამსახურებულმა არტისტმა მომღერალმა ლამარა ჭყონიამ, პოეტმა მიხეილ ქვლივიძემ, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა, უკრაინელმა ქალიშვილმა ლინა ტარასენკომ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა რამაზ ხუროძემ. ბატონმა რამაზ ხუროძემ დამსწრეთ გააცნო ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმასათვის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ და გადასცა მას საპატიო დიპლომი.

შემდეგ შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

— უწინარესად, — თქვა მან, — ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა გადაგიხადოთ ჩემი შრომის ასეთი მაღალი შეფასებისათვის, როგორიც არის ჩემთვის ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხის მონიჭება.

ჩემი მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე მე არაერთხელ მქონდა შესაძლებლობა მეთანამშრომლა ქართველ მეცნიერებთან და მქონდა საშუალება ღირსეულად შემეფასებინა თქვენი ქვეყნის სამეცნიერო აზრის განვითარების მაღალი დონე.

გულწრფელად მიხარია და მადლიერი ვარ იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომეცა შეგხვედროდით, გამოვსულიყავი საქართველოს ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა წინაშე, გამეზიარებინა თქვენთვის ჩემი შეხედულებანი თანამედროვე ცხოვრების ზოგიერთი პრობლემის გამო.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვარ განწყობილი თქვენი უძველესი ქვეყნისადმი, მისი მრავალტანჯული და შრომისმოყვარე ხალხისადმი. ადრე საქართველოში არა ვყოფილვარ და გული მტკიოდა, როცა თვალნათლივ დავრწმუნდი იმაში, თუ ყოველდღიურად რამდენად რთული პრობლემების გადალახვა უხდება საქართველოს ხელმძღვანელობასა და თქვენ, მის შვილებს.

ნამდვილად ძნელი გახდა ცხოვრება — თბილისშიც, და მთელ საქართველოშიც. მაგრამ ის, რომ მიუხედავად ყველა ამ სიძნელისა, ადამიანები არ კარგავენ თავიანთი მშვენიერი და თავისუფალი ქვეყნის მომავლის რწმენას და, რაც უმთავრესია, უნდათ ამისათვის შრომა — არ შეიძლება არ იწვევდეს გულწრფელ აღტაცებას.

გუშინ საშუალება მქონდა ახლოს გავცნობოდი ქართული ინტელიგენციის ზოგიერთ სახელოვან წარმომადგენელს — შესანიშნავ რეჟისორსა და დრამატურგს გიორგი ლორთქიფანიძეს, სახელგანთქმულ მსახიობებს სოფიკო ჭიაურელსა და კოტე მახარაძეს, საქართველოს ბულბულს ნანი ბრეგვაძეს და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რა მშვენიერები არიან ისინი და სწამთ მომავალი.

ნება მიბოძეთ უკრაინის ხალხის სახელით გადავცე მოძმე ქართველ ხალხს ღრმა პატივისცემისა და აღტაცების გრძნობები.

უკრაინულ-ქართული ურთიერთობის ისტორიის ფესვები საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული და არაერთ ფურცელს ითვლის, რომლებიც დაწერილია ნათლად და მომხიბლავად და, რაც განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, მასში არ არის და ღრმად ვარ დარწმუნებული არასოდეს იქნება ისეთი ფურცლები, რომლებმაც შეიძლება ჩრდილი მიაყენოს ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთობის განვითარებას.

ოთხი წლის წინათ საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ქვეყნების ისტორიაში ურთიერთობის თვისებრივად ახალ ეტაპს. დამოუკიდებლობის დადგომისა და განმტკიცების გზა ძალიან ძნელი იყო. ვითარება, რომელშიც დღეს ჩვენი ქვეყნები არიან, აყენებს ჩვენი ხალხებისა და პოლიტიკურ ხელმძღვანელთა წინაშე ბევრ და საერთო პრობლემას — ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემებით დაწყებული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებით დამთავრებული და ამ ნუსხის გაგრძელება შეიძლება.

მინდა, თუ ნებას მომცემთ, მოკლედ შევჩერდე იმაზე, თუ როგორ ვცდილობთ უკრაინაში გადავწყვიტოთ ჩვენ წინაშე დასახული ამოცანები.

უკრაინაში ეკონომიკური სიტუაციის სირთულე, მისი კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის აუცილებლობა ითხოვს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტას დავუქვემდებაროთ ჩვენი სახელმწიფოს მთელი ძალები და საშუალებები. ფაქტობრივად, უკრაინის დამოუკიდებლობის სამი წლის მანძილზე არა და არ შეიქმნა 1991 წელს დეკლარირებული ეროვნული საბაზრო ეკონომიკა. ის, რასაც დღეს ჩვენ ვუწოდებთ „ეროვნულ ეკონომიკას", არსებითად, საბჭოთა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის რელიქტია, რომელიც აგონიაში გვაგდებს და უკან გვწევს. აი, ამიტომაც მთავარი ამოცანა, რომელსაც უკრაინის პრეზიდენტი და მთავრობა სახავენ, ის არის, რომ დაჩქარდეს ეროვნული ეკონომიკის რეალური რეფორმების პროცესი, გადაყვანილ იქნეს იგი საბაზრო რელსებზე, რათა უზრუნველვყოთ გადარჩენა და შევქმნათ სიმტკიცის ის მარაგი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვილაპარაკოთ პოლიტიკური სუვერენიტეტის ნამდვილ ეკონომიკურ უზრუნველყოფაზე.

ახლა ჩვენ ვიმყოფებით ამ პროცესის უმძიმეს, საწყის სტადიაზე და ჩვენთან, ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, ასეთი კურსის შინაგანი აღქმა ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისა და მოძრაობის მიერ არაერთმნიშვნელოვანია. ამიტომ ფასების ლიბერალიზაციის მექანიზმის ამოქმედება, პრივატიზაციის დაწყება, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების გზით ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა და შესაბამისი საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს სახელმწიფო ხელისუფლებამ თანამიმდევრულად განახორციელოს ეს ღონისძიებანი, აგრეთვე გამოიჩინოს მოთმინება, გაგება, და რაც მთავარია, მოიპოვოს ხალხის მხარდაჭერა.

ამასთან დაკავშირებით მინდა უდიდესი კმაყოფილების გრძნობით აღვნიშნო, რომ დაწყებული რეფორმების წარმატების სასარგებლოდ მნიშვნელოვან არგუმენტად მიმაჩნია მათი დადებითი აღქმა და როგორც ხელისუფლების ყველა შტოს, ასევე უკრაინის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერა.

კერძოდ, უკრაინის უმაღლესი რადის — ჩვენი პარლამენტის — მხარდაჭერა პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის საფუძვლებისა, ქმნის ხელშემწყობ პოლიტიკურ პირობებს რეფორმატორთა ძალისხმევის კონსოლიდაციისათვის. სახელმწიფო მმართველობის მთელი სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას და სახელმწიფოსა და საზოგადოების შემდგომ პოლიტიკურ სტაბილიზაციას ხელს შეუწყობს ხელისუფლების შესახებ კანონის მიღება, რომელზეც ახლა გრძელდება მუშაობა უკრაინის პარლამენტში და მე ძალიან მინდა, რომ კონსტრუქციული თანამშრომლობის შედეგად შემუშავდეს ახალი ლეგიტიმური საფუძვლები, რომლებიც დაეყრდნობა სახელმწიფო ხელისუფლების დემოკრატიულ საფუძვლებს და ისინი ქვეყნის მართვის ეფექტიანობისა და საზოგადოებრივი პროცესის გავლენის თვალსაზრისით ტოლს არ დაუდებენ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების აღიარებულ სახელმწიფო ინსტიტუტებს.

დაწყებული რეფორმების წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარია, უკრაინის სრულფასოვანი გასვლა საერთაშორისო არენაზე, მისი თანდათანობითი შესვლა როგორც ინტეგრალური შემადგენლისა ევროპისა და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, სტიმულების შექმნა ექსპორტისა და უკრაინელ მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობის განვითარებისათვის, წინსვლა და პოზიციების განმტკიცება საერთაშორისო ბაზრებზე. ამასთან ჩვენი საგარეოეკონომიკური ძალისხმევა რაციონალური და შეწონასწორებული უნდა იყოს. ეს საკითხები არის ახლა პრიორიტეტულ ადგილზე ჩვენი რეფორმების საგარეოეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრისა და განხორციელებისას. აქ მთავარი პრინციპებია მოქნილობა და პრაგმატიზმი.

მთლიანად ასეთივე მიზნები განსაზღვრავს ჩვენს საგარეოპოლიტიკურ მოღვაწეობას. ჩვენ სულ უფრო მეტ ძალისხმევას ვახმართ შეწონასწორებული ურთიერთობის დამყარებას როგორც აღმოსავლეთთან, ისე დასავლეთთან. ამ თვალსაზრისით ბევრ რამეს უკვე მივაღწიეთ, განსაკუთრებით პოლიტიკურ სფეროში, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია, უწინარესად, იმ პარტნიორებთან კონტაქტში, რომლებიც რეალურად თანამშრომლობენ ჩვენთან ურთიერთხელსაყრელ საწყისებზე. ეს არის ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, გერმანია და ცენტრალური ევროპის რეგიონში ზოგიერთი ჩვენი მეზობელი.

ბოლო ნახევარი წლის მანძილზე ჩვენი დიპლომატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად მიმაჩნია ის, რომ მოხერხდა რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური დიალოგის განახლება. უკრაინულ-რუსული ურთიერთობის თემა აღარ არის დაძაბული საერთაშორისო ყურადღების ცენტრში, რამაც, დარწმუნებული ვარ, დაამშვიდა ორივე სახელმწიფოს საზოგადოებრიობა და შექმნა მოლაპარაკების მშვიდად წარმართვის ხელსაყრელი პირობები. დღეს უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ პრაქტიკულად ხელმოსაწერად მზად არის ფართომასშტაბიანი პოლიტიკური ხელშეკრულება ჩვენს ქვეყნებს შორის.

შევეხები ჩვენი საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. როგორც იცით, უკრაინამ გამოაცხადა, რომ უერთდება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, როგორც უბირთვო სახელმწიფო და მიიღო ეროვნული უშიშროების საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტიები.

გაიზარდა საერთაშორისო გაერთიანების ნდობა ჩვენი ქვეყნისადმი. იგი მზად არის გაუწიოს უკრაინას არსებითი ფინანსური დახმარება საშინაო რეფორმების მხარდასაჭერად, ამ დახმარების ნაწილს უკვე იღებს უკრაინა. ფართოვდება ჩვენი ურთიერთობა ევროკავშირთან (მასთან დადებულია შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ), ცენტრალური ევროპისა და შავიზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებთან. გაჩნდა იმის რეალური წანამძღვრები, რომ უკრაინა უკვე უახლოეს მომავალში გავლენიანი ევროპული სახელმწიფო და რეგიონალური სტაბილურობის „ექსპორტიორი" კი გახდეს.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ შევეხო ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებს — ისინი დღეს ყველას გვაღელვებს.

უკრაინის პოზიცია ეფუძნება საერთაშორისო გაერთიანების მიერ აღიარებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ რეალიებს. აქედან გამომდინარე, ეს პრობლემა რუსეთის ფედერაციის შინაურ საქმეს წარმოადგენს. ჩვენ ამასთანავე არ შეგვიძლია არ გავიზიაროთ საერთაშორისო გაერთიანების სერიოზული შეშფოთება მრავალრიცხოვანი მსხვერპლის გამო, განსაკუთრებით მშვიდობიან სამოქალაქო მოსახლეობას შორის. ჩვენ დაბეჯითებით მოვუწოდებთ თავშეკავებისათვის, კონფლიქტის გადაწყვეტის მშვიდობიანი გზების ძიებისათვის, ადამიანის უფლებების, უპირველესად, სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფისათვის. როგორც იცით, ჩვენ განვაცხადეთ, რომ მზად ვართ ხელი შევუწყოთ კონფლიქტის მოწესრიგების გზების ძიებაში.

ერთხელ კიდევ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი აზრით, მსოფლიოსთან, ჩვენს მეზობლებთან და პარტნიორებთან ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა დაფუძნებული უნდა იყოს პრაგმატიზმის ლოგიკით, ეროვნული ინტერესებითა და ეკონომიკური მიზანშეწონილობით. სახელმწიფოს რეალური დამოუკიდებლობა და ეკონომიკური უსაფრთხოება შეუძლებელია, საიმედოდ იყოს გარანტირებული, როცა ცალმხრივად ხარ დამოკიდებული ცალკეული ქვეყნებიდან მოწოდებას, თუ გასაღების შეზღუდულ ბაზრებზე.

ჩვენ დავადექით ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის აღდგენისა და განვითარების გზას. ამ თვალსაზრისით პრიორიტეტულია ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის განვითარება, უწინარესად — ორმხრივ დონეზე. ჩვენ უკვე გვაქვს პოზიტიური მაგალითები ასეთი თანამშრომლობისა თურქმენეთთან, რუსეთთან, უზბეკეთთან.

საბჭოთა ხანაში მიღწეული სამეურნეო სისტემის თანამოქმედების მაღალი დონე, თანამედროვე პირობებში, სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობის ეფექტიანი ფორმების დანერგვისას შეძლებდა აღმოეჩინა პოზიტიური გავლენა ჩვენს ქვეყნებში დღეს არსებულ მდგომარეობაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია მინიმალური სამეურნეო ურთიერთობანი და მათ შორის საგარეო ვაჭრობის თითქმის ნულოვანი დონე.

უკრაინის მიერ უკრაინულ-ქართული ურთიერთობის განმტკიცებისა და აქტივიზაციის, თვისებრივად ახალ, უფრო მაღალ დონეზე მათი გაყვანის აუცილებლობის ღრმა გაგება, დარწმუნებული ვარ მხურვალე გამოხმაურებასა და მხარდაჭერას პოულობს საქართველოში.

ჩვენი ხალხების ისტორიული და კულტურული კავშირურთიერთობანი საუკუნეებს ითვლის, საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობა ხომ სათავეს იღებს კიევის რუსეთის დროიდან. ეს კონტაქტები არ გაწყვეტილა შემდგომ, ყველაზე მძიმე დროსაც კი.

ჩვენმა დიდმა კობზარმა ტარას შევჩენკომ მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა აღშფოთებით აღიმაღლა ხმა კავკასიის კოლონიური დამონების წინააღმდეგ. მისმა მეგობარმა, უკრაინელმა ლიტერატორმა მიკოლა გულაკმა თავის ლიტერატურულ ნაშრომში გადმოგვცა შოთა რუსთაველისა და მისი უკვდავი ნაწარმოების „ვეფხისტყაოსნის" მომხიბლავი სამყარო.

ახლაც ჩვენი ქვეყნების ხალხებს ერთმანეთთან ჭეშმარიტად ძმური ურთიერთობა აქვთ. ამასთან დაკავშირებით, ერთხელ კიდევ მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ ფასდაუდებელი დახმარებისათვის, რომელიც ქართველმა ხალხმა აღმოგვიჩინა ჩერნობილის კატასტროფის უმძიმეს დღეებში.

ჩვენი მხრივ, აფხაზეთში ტრაგიკული მოვლენების დროს, ჩვენ წმინდა მოვალეობად მივიჩნიეთ, აღმოგვეჩინა საქართველოსათვის შეძლებისდაგვარი დახმარება.

ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე, ვიამაყოთ არანაკლებ მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობით. თუ ბოლო ხანს, ამ სფეროებში გაჩნდა გარკვეული პრობლემები და სიძნელეები, ეს ჩვენი ორმხრივი დიალოგის გააქტიურების, თქვენს ქვეყანაში დღევანდელი ვიზიტის ერთ-ერთ არსებით არგუმენტად იქცა. ჩვენთვის აუცილებელია იმის განმტკიცება, რასაც ჩაეყარა საფუძველი წინა ათწლეულებში.

დავასახელოთ თუნდაც, ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელთა მრავალწლიანი ურთიერთობა თქვენი გურიის მშრომელებთან, სასურველია, რომ ასეთმა მეგობრობამ და საქმიანმა თანამშრომლობამ თვისებრივად ახალი შინაარსი შეიძინოს და ახალი რაიონები ან სფეროები მოიცვას.

ორმხრივი ურთიერთობის სტაბილური განვითარების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ნორმალური ეკონომიკური თანამშრომლობის უზრუნველყოფა ეროვნული ეკონომიკის იმ დარგებში, სადაც ორივე ქვეყნის ინტერესები უახლოვდება ერთმანეთს, ანდა თანხვდებიან. საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის საიმედოობა და სტაბილურობა, ისევე, როგორც შემდგომი განვითარებაც, საშინაო-ეკონომიკური გარდაქმნებისა და სტაბილიზაციის საწინდარია. ლოდინი ბევრს გვაკარგვინებს. დაკარგვა კი ჩვენს მდგომარეობაში დაუშვებელი და მიუტევებელი ფუფუნებაა.

ჩვენი ქვეყნების მრავალმხრივ პოტენციურ შესაძლებლობათა, არსებულ სულიერ ფასეულობათა და ჩვევათა, ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფის სამეცნიერო პოტენციალის ერთობლივი მიზანმიმართული გამოყენება, თანამიმდევრულად მშვიდობისმოყვარული და კონსტრუქციული პოლიტიკის პირობებში — აი, შეხების ის წერტილები, რომლებიც გვინდა საფუძვლად დაედოს ჩვენი მომძმე სახელმწიფოების ურთიერთობას.

ჩვენს ორ ხალხს არასდროს არ ჰქონიათ პრეტენზია, გაბატონებული მდგომარეობა დაეკავებინათ ეგრეთ წოდებულ „ძმურ ოჯახში" და დღესაც ჩვენი სახელმწიფო გაგებით ეკიდება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და გვინდა, რომ ორივე მხარის სიძნელეები ერთად დავძლიოთ, გავუგოთ და დავეხმაროთ ერთმანეთს.

ჩვენი ქვეყნების გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობა, რომელსაც შავი ზღვა აერთიანებს, გვაძლევს საშუალებას, რომ უკრაინაში ვიგრძნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების მთელი სიმწვავე. ისტორიის ცოდნა საშუალებას გვაძლევს, უკეთესად გავიგოთ დღევანდელი კრიზისის ზოგიერთი ფესვი და მიზეზი, კრიზისისა, რომელშიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩათრეული აღმოჩნდა პრაქტიკულად ამ რეგიონის ყველა სახელმწიფო. მაგრამ მხოლოდ ცოდნით, როგორც ცნობილია, ვერ მოახდენ გავლენას საშინაო სიტუაციის სტაბილიზაციაზე ან რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგებაზე. აუცილებელია ამ შემთხვევაში, გამოვავლინოთ ძლიერი და მიზანმიმართული პოლიტიკური ნება, სამოქალაქო და ეროვნული ერთიანობის უპირობო მხარდაჭერა, მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზების ძიება.

არსებითი შეიძლება იყოს მეზობელი ქვეყნების ნამდვილად უანგარო, დაინტერესებული დახმარება, მათი მოქმედების შეთანხმება გაეროს ან ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში, რომელთა მისიები უკვე ახორციელებენ საქართველოში სიტუაციის მონიტორინგს. სწორედ ყველა ეს ღონისძიებაა, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი მოწესრიგების ის ერთადერთი შესაძლო გზა, რომლის პოტენციალი, და რაც მთავარია, საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობანი, მათ შორის, უკრაინის შესაძლებლობანიც, ჯერ კიდევ არ ამოწურულა.

მაგრამ ეკონომიკა და პოლიტიკა ერთადერთი სფეროები როდია, სადაც, ჩემი აზრით, არსებობს, გამოუყენებელი შესაძლებლობანი. კერძოდ, ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული პოტენციური შესაძლებლობანი მუდმივ დაინტერესებულ დიალოგში, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებებს შორის, ასევე არასახელმწიფო ორგანიზაციებს, შემოქმედებით წრეებსა და სამეცნიერო-ტექნიკურ დაწესებულებებს, კულტურისა და ხელოვნების წამყვან მოღვაწეთა შორისაც. ჩვენი ხალხების სულიერების ცოცხალი წყაროების განვითარებისა და მხარდაჭერის აუცილებლობაზე დღეს ჩვენ გვქონდა საუბარი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან, ილია მეორესთან შეხვედრაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი რელიგიური მოღვაწენიც შესძლებენ ბევრი რამ გააკეთონ უკრაინისა და საქართველოს მეგობრული ურთიერთობის განსამტკიცებლად, ჩვენი რწმენისა და სულიერების შესანარჩუნებლად.

დღეს აუცილებელია გავიხსენოთ, რომ კულტურული ურთიერთგაგებისა და ურთიერთგამდიდრების ტრადიციები უკრაინასა და საქართველოს შორის, რომლებსაც საფუძველი ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ჩაუყარა დავით გურამიშვილმა და რომელიც ოცდაათ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა და იღვწოდა მირგოროდში და, სადაც ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში სათუთად ინახავენ მის ხსოვნას, შემდგომში გააგრძელეს კეცხოველმა, ჩიტაძემ, ლომოურმა, ძმებმა ფალიაშვილებმა.

დღეს უკრაინაში მუშაობს ქართველოლოგთა — ქართული მემკვიდრეობის მკვლევართა ძლიერი სკოლა, რომლითაც სამართლიანად შეუძლია იამაყოს, რომელიც გნებავთ სახელმწიფომ. მათ ანგარიშზეა ასობით წიგნი, სამეცნიერო და კულტურული შრომების თარგმანი. სავსებით ლოგიკურია, რომ სწორედ კიევის უნივერსიტეტში უკვე ორი წელია ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას. საინტერესოა, რომ ეს კეთილშობილური საქმიანობა დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ჩვენმა ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ და მთარგმნელმა გრიცკო ხალიმონენკომ. საქართველოში უკრაინისტიკის სკოლის მეთაური ოთარ ბაქანიძე ამას წინათ აირჩიეს კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. მსგავს თანამშრომლობას შეიძლება შეუერთდნენ კიევის უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტი და თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი.

უკრაინულ-ქართული თეატრალური ტრადიციები გაამდიდრეს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში დადგმულმა უკრაინულმა ოპერებმა — ლისენკოს „ტარას ბულბამ", დანკევიჩის „ბოგდან ხმელნიცკიმ", ხოლო კიევის ოპერის თეატრის სცენაზე დადგმულმა ფალიაშვილის „დაისმა" და „აბესალომ და ეთერმა", ხარკოვის ოპერის თეატრის სცენაზე დადგმულმა ბალანჩივაძის ბალეტმა „მთების გულმა".

აღარაფერს ვამბობ მდიდარ სპორტულ ტრადიციებზე, ორი „დინამოს" საფეხბურთო ბატალიებზე, რომლებიც ასი ათასიან სტადიონებს შესძრავდა ხოლმე, კალათბურთელთა შთამბეჭდავ მატჩებსა და მარათონებზე, ანდა ჩოგბურთელთა საინტერესო შეჯიბრებებზე. ყველაფერი ეს იყო და ყველაფერი ეს უნდა აღორძინდეს და განვითარდეს.

გუშინ ქართული ხელოვნების პატრიარქმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ შესანიშნავი სიტყვები თქვა იმის შესახებ, რომ სულიერი ტრადიციების ერთიანობისა და ხალხთა ერთიანობისათვის ღირს სიცოცხლე, ღირს მომავლის რწმენა, რადგან სწორედ სულიერი საწყისებისათვის არსებობს კაცობრიობა.

თავისი გამოსვლის დასასრულს, უკრაინის პრეზიდენტმა მხურვალე მადლობა გადაუხადა მასპინძლებს და თქვა: მინდა, გამოვთქვა რწმენა, რომ სიბრძნე და შრომისმოყვარეობა, სულის სიმდიდრე და ჩანაფიქრის გულწრფელობა, რომელიც ოდითგან მოსდგამს ქართველ ხალხს, ხელს შეუწყობს ქართულ მიწაზე მშვიდობის მალე დამყარებას და ქვეყნის აყვავებას.

დასასრულ, აკადემიკოსმა ალბერტ თავხელიძემ მადლობა მოახსენა უკრაინის პრეზიდენტს, მთავრობის დელეგაციის წევრებს მობრძანებისათვის და ბატონ ლეონიდ კუჩმას საჩუქრად გადასცა ჩვენი დიდი კლასიკოსის დავით გურამიშვილის ქართულ და უკრაინულ ენებზე დაბეჭდილი პოემა „დავითიანი".

საქინფორმი.

შეხვედრა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან

10 იანვარს უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ეწვია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

გაიმართა საუბარი ორი ქვეყნის ხალხთა საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანული რელიგიით განმტკიცებული მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის დაიწყო თანამშრომლობის ახალი ეტაპი. ბატონმა პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ უკრაინისა და საქართველოს რელიგიური მოღვაწენი შეძლებენ ბევრი რამ გააკეთონ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის განსამტკიცებლად, ჩვენი სულიერების შესანარჩუნებლად.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას საჩუქრად გადასცა მთავარანგელოზ მიქაელის ხატი, დალოცა პრეზიდენტი და უკრაინელი ხალხი.

სურათზე: სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან შეხვედრის დროს.

ხ. ედიშერაშვილისა და ბ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს პარლამენტში

ბიუჯეტი მიღებულია

საზოგადოებრიობამ იცის, რომ საქართველო უბიუჯეტოდ შე ახალ წელიწადს. იგი პირველი მოსმენით პარლამენტმა არ მიიღო შინ პარლამენტარები რიგგარეშე სხდომაზე შეიკრიბნენ. და, გუშინ გია ჭანტურიას მკვლელობიდან მეორმოცე დღე იყო, ლესად პატივი მიაგეს მის ხსოვნას. ამის შემდეგ კენჭისყრით გა და: დებატების გარეშე ეყარათ კენჭი ბიუჯეტის პროექტისათვის, ვე დროს თავიანთი პოზიციის გამოსახატავად გამოსულიყვნენ ციების წარმომადგენლები.

— ბიუჯეტი თავიდან ბოლომდე კარგიც რომ იყოს, უნდა ჩავარ რადგან მთავრობის გადაყენების სხვა საშუალებას ვერ ვხედავ, — თქვა ქალბატონმა ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ და კონკრეტულ გალითებით სცადა დაერწმუნებინა პარლამენტარები, რომ თუ უნ ქვეყანაში რაიმე უბედურება კვლავ არ მოხდეს, აღმსრულებელი ხ ლისუფლება უნდა შეიცვალოს, ეს კი ბიუჯეტის მიუღებლობას მოა ყვებოდა.

თედო პაატაშვილმა აღნიშნა, ამ ბიუჯეტში ეკონომიკურ პოლიტიკას ვერ ვხედავო, ზურაბ ჟვანიამ უმრავლესობაში შემავალი ფრაქციების პოზიცია გამოხატა, თქვა, რომ პირველად არის საშუალება ხმა მიეცეს ანტიინფლაციურ ბიუჯეტს, რომელიც რესპუბლიკაში ფინანსურ სტაბილიზაციას დააკანონებს.

თითქმის ყველა ფრაქციამ გამოხატა ბიუჯეტის პროექტისადმი დამოკიდებულება. ბოლოს კი სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფოს მეთაურმა — პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. მან აღნიშნა, რომ ეს არ არის ნორმალური ქვეყნის ბიუჯეტი, მაგრამ ამაზე უკე თესის შედგენა დღეს ვერ მოხერხდება. მან სთხოვა პარლამენტარ ნუ დაუკავშირებენ ბიუჯეტს მთავრობის საკითხს, რადგან ბიუჯ დღეს დაკავშირებულია ქვეყნის ყოფნა-არყოფნასთან და თუ ჩ გვინდა გამოვიყვანოთ ქვეყანა კრიზისული მდგომარეობიდან, იგი დრო ლად უნდა დამტკიცდეს.

კენჭისყრა შედგა. პარლამენტმა 1995 წლის ბიუჯეტი მიიღო (122 მომხრე, 62 წინააღმდეგი), ბიუჯეტთან ერთად კენჭისყრით დამტკიცდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

რუსუდან ლორთქიფანიძე,
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტი.

საახალწლო მილოცვები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი

ბონი, 28 დეკემბერი, 1994 წელი.

მის აღმატებულებას

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურსა და პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ **ედუარდ შევარდნაძეს**

თბილისი

დიდად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ, ძვირფასო ბატონო შევარდნაძე, მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები 1995 წლისათვის.

საქართველოს რესპუბლიკას და მის მრავალტანჯულ მოსახლეობას შარშანაც სიდუხჭირესა და გაჭირვებაში მოუხდა ცხოვრება. თქვენ ამ მძიმე წლებში მამაცურად და მთელი ძალ-ღონით იღვწით თქვენი ქვეყნისათვის.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მომავალშიც თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ყვე ლაფერს გააკეთებს საქართველოს რესპუბლიკასთან პარტნიორულ სულისკვეთებით მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობის შემდგომში დევ უფრო განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის.

მეგობრული სალმით,
ჰელმუტ კოლი.

ახალი წლის წინა დღეებში მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მოვიდა დეპეშები სახელმწიფოს მეთაურის — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის სახელზე. მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები, ქვეყნებისა და პარტიათა ლიდერები შობა-ახალწელიწადს ულოცავენ მას, უსურვებენ დიდ წარმატებას ქართველი ხალხის საკე თილდღეო მოღვაწეობაში.

საახალწლო მილოცვები მიღებულია: დანიიდან — **დედოფალი მარგრეტ მეორე,** ესპანეთიდან — **ხუან კარლოს პირველი,** მეფე. ამერიკის შეერთებული შტატებიდან — **პრეზიდენტი ბილ კლინტონი და ჰილარი კლინტონი;** გერმანიიდან — **რომან ჰერცოგი,** პრეზიდენტი; კვიპროსიდან — **გლაუკოს კლერიდესი,** პრეზიდენტი; კორეიდან — **კიმ იონგ სამი,** პრეზიდენტი; ჩინეთიდან — **ძიან ძე მინი,** პრეზიდენტი, **ძიაო ში,** ეროვნული ყრილობის თავმჯდომარე; ისრაელიდან — **ეზერ ვაიცმანი,** პრეზიდენტი; ირანიდან — **ჰაშემი რაფსანჯანი,** პრეზიდენტი; პოლონეთიდან — **ლეხ ვალენსა,** პრეზიდენტი, **იოზეფ ოლექსი,** სეიმის მარშალი; უნგრეთიდან — **არპად გონცი,** პრეზიდენტი; **გიულა ჰორნი,** პრემიერ-მინისტრი; ვიეტნამიდან — **ლე დუკანი,** პრეზიდენტი; განიდან — **ჯონ როლინგსი,** პრეზიდენტი; ავსტრიიდან — **თომას კლესტილი,** ფედერალური პრეზიდენტი; უკრაინიდან — **ლეონიდ კუჩმა,** პრეზიდენტი; ყაზახეთიდან — **ნურსულთან ნაზარბაევი,** პრეზიდენტი; უზბეკეთიდან — **ისლამ კარიმოვი,** პრეზიდენტი; თურქმენეთიდან — **საფარმურატ ნიაზოვი,** პრეზიდენტი; სომხეთიდან — **ლევონ ტერ-პეტროსიანი,** პრეზიდენტი; ტაჯიკეთიდან — **ემომალი რახმონოვი,** პრეზიდენტი; მოლდოვადან — **მირჩა სნეგური,** პრეზიდენტი; დიდი ბრიტანეთიდან **ჯონ მეიჯორი,** პრემიერ-მინისტრი; **ჯეფრი და ელსბეტ ჰოუ,** ლორ პალატა; კარელიიდან — **ვიქტორ სტეპანოვი,** მთავრობის თავმჯდომარ დსთ-დან — **ივან კოროტჩენია,** აღმასრულებელი მდივანი; რუსეთიდან — **ა. ძასხოვი,** რუსეთის ფედერაციის საპარლამენტთაშორისო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე; **მ. კროტოვი,** საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს გენერალური მდივანი.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან — **ჯეიმს ბეიკერი;** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი **ალექსი მეორე;** ჟურ „შპიგელის" მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი **იორგ მეტკე;** ბიუ თანამშრომლები **ანდრეი ბატრაკი და ქრისტიან ნეეფი;** რუსეთის დერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ო. დავიდოვი;** სეთის ფედერაციის მთავრობის აპარატიდან **ი. იაროვი;** საერთაშორისო ფონდის „ინტერპრივატიზაციის" პრეზიდენტი **ვ. შერბაკოვი;** სახელმწიფოთაშორისო საავიაციო კომიტეტის თავმჯდომარე **ტ. ანოდინა.**

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან:

გაეროდან — **ბუტრუს ღალი,** გენერალური მდივანი; გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამსახურიდან — **თასლიმურ რაჰმანი;** გაეროს ბავშვთა ფონდიდან; გაეროს განვითარების პროგრამის ადმინისტრაციიდან — **ჯეიმს გუსტავ სპეთი;** რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკიდან — **მარკ ტომლინსონი, ოლივიე ტუზელსკი;** საერთაშორისო დიპლომატიური აკადემიიდან (საფრანგეთი) — **კირა ბოდარი;**

დეპეშები მიღებულია საქართველოში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნების ყველა ელჩისგან, უცხოეთის ქვეყნებში საქართველ წარმომადგენლობებისგან.

გაიმართება ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირი

სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებით 1995 წლის 21 იანვარს, 11 საათზე, პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართება ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირი დღის წესრიგით: „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გადაუდებელი ღონისძიებების შ სახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 12 ივ ლისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობისა და 1995 წელს რუფციის, ტერორიზმის, რეკეტისა და საერთოდ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანების შესა

თათბირზე მოსმენილი იქნება საქართველოს რესპუბლიკის გე ლური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის, საქართველოს რესპუ კის შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა კვირაიას, საქართველოს პუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის იგორ ორგაძის, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ნინიძის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ერთობის კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე კავსაძის, რე ლიკის საგადასახადო ინსპექციის უფროსის დავით სალარიძის, სის მერის თემურ შაშიაშვილის ინფორმაციები.

სახელმწიფოს მეთაურის პრესცე

შეხვედრა მსოფლიო ბანკის დელეგაციასთან

10 იანვარს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ თემურ ბასილიამ მიიღო მსოფლიო ბანკის დელეგაცია ბატონ სტივარტ ბელის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიოდა მსოფლიო ბანკის კონსულტანტთა ჯგუფები.

საუბრისას ბატონმა თემურ ბასილიამ ყურადღება მიაპყრო პურპროდუქტების, „საქგაზისა" და „საქენერგოს" კორპორაციების რეორგანიზაციას, რაშიც სურველია მსოფლიო ბანკის მ დან ტექნიკური დახმარების წევა. ამ და სხვა საკითხებ შესათანხმებლად მხარეებმა გა წყვიტეს მოლაპარაკება გამარ ონ პარასკევს, 13 იანვარს, ხოლ ხუთშაბათს 12 იანვარს გაიმარ ება წინასწარი სამუშაო შეხვე

მინისტრთა კაბინეტის პ
სამსახური.

10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოეკონომიკური სტაბილიზაციისა და ქტურული რეფორმების დაჩქარების შესახებ

ის გაზაფხულიდან რესპუბლიკაში ლური ეკონომი- ეფორმის ახალი ყოვლის- ლი ეტაპის განხორციე- ვ ხელი შეუწყო სა- ტიკური გარემოსა ვნული ვითარების ამ. საქართველოს ს მეთაურის 1994 რვლის № 84 ბრძა- დამტკიცებული მა- მიკური სტაბილიზაცი- და სისტემური ცვლილებე- ანტიკრიზისული პროგრამის ამისად რადიკალური ნაბი- ადგა პრივატიზაციის , ფასების ლიბერალი- ულად-საკრედიტო და ო პოლიტიკის სრულ- ძინაო და საგარეო ვა- ლიბერალიზაციის მიმა- რთულებით. მნიშვნელოვანი წი- ნსვლაა საერთაშორისო ეკონომი- ურ ორგანიზაციებთან, სხვადა- ქვეყნებთან ეკონომიკური მლობის ჩამოყალიბე- ე სფეროში.

ლოს სახელმწიფოს ა ედუარდ შევარდნაძემ აა ბრძანებულება, რომელ- კერძოდ, აღნიშნულია, რომ ლიკის ეკონომიკის აღდ- ა და განვითარების საარსე- მნიშვნელობის ამოცანათა ვეტა მოითხოვს მაკრო- კური სტაბილიზაციისა დამენტური სტრუქტურუ- ფორმების დაჩქარებას, ესი პერიოდისათვის ამ კონკრეტული მიჯნებისა ეტრების დასახვასა და რეალიზაციას. ამ ამოცანების შესაბამისად და მსოფლიო ბანკიდან სარეაბილიტაციო კრედიტის მიღებისათვის აუცილებელი წინაპირობების შესაქმნელად ცნობად არის მიღებული, რომ სტრუქტურული რეფორმის კურსის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა რესპუბლიკის პარლამენტში წარადგინა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების თვისებრივი რეორგანიზაციისა და რაციონალიზაციის პროგრამა. იგი ითვალისწინებს ეკონომიკაში სახელმწიფო ორგანოების პირდაპირი ჩარევის არსებით შეზღუდვას, ამ ორგანოების ახალი, საბაზრო ურთიერთობის ადეკვატურ უფლება-მოვალეობათა განსაზღვრას, უფლებამოსილების სფეროში პარალელიზმის აღმოფხვრას, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას და ამ საფუძველზე საშტატო ერთეულების დაახლოებით 30 პროცენტით შემცირებას.

საქართველოს რესპუბლიკის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს დაევალათ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან ერთად მომზადონ საქართველოს პარლამენტში 1995 წლის 15 იანვრამდე წარსადგენად „განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემების რეფორმის გეგმები, რომლებიც ამ სფეროებში პრივატული სექტორის განვითარებისა და თვითდაფინანსების სისტემის შემოღებასთან ერთად უზრუნველყოფს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისათვის შეზღუდული წრის, მაგრამ ძირითად სახეობათა მიხედვით გარანტირებულ უფასო სამედიცინო მომსახურებასა და უფასო სავალდებულო განათლებას.

განათლებისა და სამედიცინო მომსახურების სფეროში განსახორციელებელი რეფორმის გეგმებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს დამატებითი შეღავათები მოსახლეობის ყველაზე ხელმოკლე ფენებისათვის.

საწარმოთა პრივატიზაციის სამთავრობო პროგრამის რეალიზაციის დაჩქარების მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად 1995 წლის დასაწყისისათვის უნდა მოახდინოს 2160 მცირე საწარმოს პრივატიზება და 585 მსხვილი და საშუალო საწარმოს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა, ხოლო მომდევნო ერთი თვის განმავლობაში — 200 მცირე საწარმოს პრივატიზება და 150 მსხვილი და საშუალო საწარმოს სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა.

ამავე სამინისტრომ 1995 წლის 15 იანვრამდე უნდა შეიმუშაოს კრიტერიუმები იმ საწარმოთა შესარჩევად, რომელთა პრივატიზაციაც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ტენდერის გზით.

ბრძანებულებაში ხაზგასმულია, რომ სასოფლო-სამეურნეო სექტორის რეორგანიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1995 წლის 15 იანვრამდე საქართველოს პარლამენტს უნდა წარუდგინოს კანონპროექტი მიწის რეფორმის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის, სახელმწიფო ქონების მართვისა და იუსტიციის სამინისტროებმა ხელისუფლების ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად 1995 წლის 15 იანვრამდე უნდა მოამზადონ მიწის პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა.

პურპროდუქტების ბაზარზე კონკურენციის შექმნის მიზნით, პურის ფასებისა და პურით ვაჭრობის ლიბერალიზაციის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან, პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციასთან ერთად შეიმუშავებს და 1995 წლის დასაწყისში წარუდგენს განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს კორპორაციის სისტემის პრივატიზების გეგმას, რომელიც გაითვალისწინებს ხორბლის დაფქვას, პურის წარმოებისა და პურით ვაჭრობის განცალკევების ღონისძიებებს 1995 წლის 1 ივლისამდე.

ფინანსური დისციპლინის განმტკიცებისა და საწარმოთა რეორგანიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი 1995 წლის 15 იანვრამდე საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონპროექტს გაკოტრების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროებთან, პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციასთან, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციასთან, შესაბამის ბანკებთან ერთად დაევალა განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული, გაკოტრების ზღვარზე მდგომი 25 საწარმოს ფინანსური, ქონებრივი და სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობა და „საწარმოთა გაკოტრების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 8 სექტემბრის დეკრეტით განსაზღვრული წესის თანახმად ერთი თვის ვადაში მოახდინონ ამ საწარმოთა ლიკვიდაცია.

ფინანსური სექტორის რეფორმის სფეროში ცნობად არის მიღებული, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილია ახალი კანონპროექტი ეროვნული ბანკის შესახებ.

1995 წლის დასაწყისისათვის ეროვნულმა ბანკმა მოხსნას ყველა დარჩენილი შეზღუდვა უნაღდო ფულის ნაღდ ფულად კონვერტაციაზე, როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის მიმართ, შეიმუშაოს ბანკებისა და საბანკო დაწესებულებების შესახებ კანონპროექტი, აგრეთვე საბანკო ზედამხედველობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

საქინფორმი.

ალმდგარი კაცი

ჩანახატი

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის შემდეგ, უბრალო მოკვდავთაც თუ ეთქმით, ჩემი ბავშვობიდან მოვდივარო, მასაც ეთქმის, ბავშვობა კი ნამდვილად ძირმწარე ჰქონდა. არც შიმშილი დაჰკლებია, არც სიცივე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიბადა, მაგრამ ომში ნაადრევად დაკაცებულ გოგიტასა და ზურიკელას უფრო ჰგავდა იმ სიდუხჭირის გამო, როცა სიმინდს გამობაას არ აცლიდნენ, ხორცსაკეპ მანქანაში ატარებდნენ და აცხობდნენ, როცა კაპიკებიც გაანგარიშებული ჰქონდა: სოფლიდან რაიონის ცენტრამდე — 20 კაპიკი, რაიონის ცენტრიდან ქუთაისამდე — 70 კაპიკი, ქუთაისამდე, სადაც სულ ცამეტი წლისამ დაიწყო მუშაობა სარემონტო კანტორის დამხმარე მუშად, ხოლო სწავლა განაგრძო ავტოტექნიკუმის საღამოს განყოფილებაზე.

მამამისი, ერთი უბრალო შრომელი კაცი, მთელი ომი რომ მოათავა, ბრაზობდა, სად გაგონილა ცამეტი წლის ბავშვის მუშაობა, ხალხის ყბიდან ველარ ამოვალო!.. არაფერმა გასჭრა, მაინც არ დაიშალა, მხარზე მოიგდო ზურგჩანთა და წავიდა. დედამ ხუთი მანეთი და ამდენივე ხაჭაპური გაატანა. ეგ იყო და ეგ!... თვისინათქომა ბიჭი იყო — სამსახურიც მალე იშოვა. ბინაც იქირავა და კაცობაშიც ფეხი შედგა...

დანამდვილებით ვერ გეტყვით, ნიკოტინსა და ალკოჰოლს რომ არ ეტანება, ესეც ხელმოკლეობის „ბრალი" იყო თუ არა. მგონი, უფრო ნებისყოფის შედეგი გეგონებათ. იმ ნებისყოფისა, დღესაც რომ დიდად ადგება რაიონის სათავეში მდგომ კაცს. დღესაც მეთქი, ხაზს ვუსვამ, მაგრამ უარესი დღეებიც უნახავს, რა უფერული სიტყვა წამომცდა, კი არ უნახავს, გულისგულამდე განუცდია, ნერვების წიწკნით გაუჯახირებია და არ შემდრკალა, არც შეშინებულა, თითქმის წაქცეული ისევ ამდგარა!... მაგრამ ეს მერე იყო, ცხრაასოთხმოცდაექვსში, როცა პარტიული და სამეურნეო მუშაობის სოლიდური სტაჟი დაუგროვდა.

მანამდე კი, ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოსწყდა „ბედის ვარსკვლავი" მშობლიური სოფლის ალისუბნის ცის კაბადონს!... რამდენი ღამე გაუთენებია ბჭით მოწაფეს მშფოთვარე სიზმრებში და რამდენი მზიანი დღე შემოღამებია ფიქრსა და ოცნებაში, ვიდრე მთავარ ცხოვრებისეულ კრედოს ჩამოაყალიბებდა — კაცმა დამოუკიდებლად უნდა გაიკვლიოს ცხოვრების გზა!...

არის ლეგენდა (მომეტებულად მაღალი ეშელონის პარტოკრატები ავრცელებდნენ ასეთ ლეგენდებს მათი გამგონე სუკელების მეოხებით!), თითქოს ცეკას ერთ-ერთმა პირველმა მდივანმა ე. შ. „ორშაბათის თათბირზე" ერთ განყოფილების გამგეს მოულოდნელად ჰკითხა, თქვენ, თურმე, დებილი შვილი გყოლიათ და შიზოფრენია გვარში ხომ არ მოგდგამთო („სექტორს" მოუხსენებია მისთვის, ამ კაცის შვილს სამხედრო-სავალდებულო სამსახური არ გაუვლია. არქივში მისი შიზოფრენიკობის ცნობა აღმოჩნდაო).

გიორგი ამირანაშვილი ჯარში მექანიკოსად მუშაობდა, თანაც ისე, რომ მთელი ნაწილი იცნობდა.

ძნელია მთელი მისი სამსახურებრივი კიბის თვალის ერთი გადავლებით გასიგრძეგანება — ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილიდან პარტიის ქალაქკომის წამყვანი განყოფილების გამგემდე ან, სადღეისოდ, რაიონის გამგეობის თავმჯდომარეობამდე. მთავარი ის არის, რომ ეს, სვლა კი არა, ალმასვლა გახლდათ.

და აი, 1986 წელს გიორგის მოულოდნელად აპატიმრებენ და სუკის იზოლატორში ამწყვდევენ. მოტივი? ვითომ ქუთაისის „ტორპედოსათვის" გროვდებოდა ფულები, ან, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, ბანკეტებისა და სადილების ორგანიზატორობა ეკისრა? და „იკისრა" კიდევაც: ოთხი ბანკეტის თუ სადილის თავკაცობისათვის 10 თვეს მოუწია პატიმრობა!...

გამოხდა ხანი, როგორც მსგავს კონტექსტში იტყვიან ხოლმე — დრო დადგა და სამართალმა პური ჭამა!... დღეს გიორგი თერჯოლის რაიონის გამგეობას თავმჯდომარეობს, უნარიანად, მიზანდასახულად, შემოქმედებითად. მაგალითები? ინებეთ:

თერჯოლის რაიონში რესპუბლიკის მასშტაბით ყველაზე ადრე და სრულყოფილად გასრულდა მიწის პრივატიზება!..

თერჯოლის რაიონმა თითქმის ორჯერ მეტი დვინილი შეიფარა, ვიდრე თავდაპირველად იყო დაგეგმილი!..

თერჯოლის რაიონში, პროცენტულად ყველაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს!..

თერჯოლის რაიონში ორგანიზებულად შეგროვდა მოსახლეობისაგან თანხები ელექტროქვესადგურის ასაშენებლად, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას ელექტროენერგიის მწვავე პრობლემა და მთელი სიმძლავრით ამუშავდეს რაიონის სამრეწველო ობიექტები!...

თერჯოლის რაიონმა...

კმარა, თორემ გული მიგრძნობს, მავანი კომუნისტური ხანისათვის დამახასიათებელ რიოში სიტყვების ბრახა-ბრუხად ჩამითვლის ყველაფერს და გაზეთს გვერდზე გადადებს...

არც ბატონი გიორგი გახლავთ ზეზილაპილოებიანი რეკლამების მოყვარული. ის კი არა და, ინტერვიუზეც არ დამყაბულდა, იქნებ ცოტა შევეცადა და, საერთოდაც, რაღა მეზობლებმა ვაქოთ ერთმანეთი, გარეშეს ვაცადოთო!..

ღმერთია მოწმე, პირნათლად შევასრულე მისი ეს თხოვნა — სანამ თვით სახელმწიფოს მეთაურმა არ შეაქო იგი მევენახეთა რესპუბლიკურ თათბირზე, კალამს არ გავეკარებივარ.

ინტერვიუზე კი მაინც უარი მტკიცა!...

გიზო ზარნაძე,
მწერალი.

თერჯოლა.

დებულება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამკურნალო საშუალებების საბითუმოდ იზაციისათვის ნებართვის (ლიცენზიის) მიღების წესი

დი მოთხოვნები

(დებულებები)

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამკურნალო საშუალებების საბითუმო რეალიზაციით დასაქმებულ იურიდიულ პირთა ლიცენზირების წესს, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობა ფიზიკურ პი[illegible] ძალებათ.

[illegible] ალო საშუალებებ- ის [illegible] რეალიზაციის ლი- ც[illegible] ა წარმოადგენს სახელ- მწ[illegible] კონტროლის საშუალებას, იმ [illegible] ხოვნების შესრულებაზე, რომლებიც უნდა დაიცვან ლიცენზირებულმა სუბიექტებმა. იგი ემსახურება სამკურნალო საშუალებების მიმოქცევაში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას.

1.3 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამკურნალო საშუალებების საბითუმო რეალიზაციის უფლება ეძლევათ იმ იურიდიულ პირებს, რომელთა შტატშიც შედის უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლების მქონე ფიზიკური პირები.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გაცემული ლიცენზიის გარეშე ყველა იურიდიულ პირს, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის მიუხედავად, სამკურნალო საშუალებების საბითუმოდ რეალიზაცია ეკრძალებათ.

1.4 ლიცენზიას გასცემს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სალიცენზიო კომისია.

1.5 გაცემული ლიცენზია მოქმედებს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

1.6 ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ლიცენზირებას ექვემდებარება ყველა ის სუბიექტი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახორციელებს:

1.6/1 სამკურნალო საშუალებების მიღებას, შენახვას, კომპლექტაციას, გაცემას, საბითუმო რეალიზაციას.

1.7 სამკურნალო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე ლიცენზია უნდა შეიცავდეს:

— იმ ორგანოს სრულ დასახელებას, რომელიც გასცემს ლიცენზიას. იგი ლიცენზიის მაძიებელს ავალდებულებს მითითებული საქმიანობის შესრულებას — დადგენილი წესის შესაბამისად,

— ლიცენზირების სუბიექტის სრულ დასახელებას, რომელშიც მითითებულია მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმა;

— ადგილმდებარეობას (იურიდიულ მისამართს);

— დაწესებულების კოდს;

— საბითუმო სარეალიზაციოდ დაშვებული სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალს — ლიცენზირებას მოცემული სუბიექტისათვის, რომელიც დგინდება წინასწარი ექსპერტიზის საფუძველზე;

— ლიცენზიის სარეგისტრაციო ნომერს;

— ლიცენზიის მოქმედების ვადას;

— რეესტრში შეტანის თარიღს.

1.8 ახალი ლიცენზირება წარმოებს იმ შემთხვევაში, როცა იურიდიული პირები (ლიცენზირების სუბიექტები) იწყებენ 1.6-ში მითითებულ საქმიანობას, ლიცენზიის ვადის გასვლისას, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის შეცვლისას.

2. ლიცენზიის მიღების წესი

2.1 ლიცენზირების სუბიექტი ლიცენზიის მიღებისას წარმოადგენს შემდეგ საბუთებს:

— განცხადებას ლიცენზიის მიღების შესახებ, სადაც მინიშნებულია სუბიექტის სრული დასახელება, იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები (დანართი 1);

— დამფუძნებელ საბუთებს (წესდების ან დებულების ასლი, ლიცენზირების სუბიექტის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობა);

— შენობით, აღჭურვილობით სარგებლობის დამადასტურებელი საბუთის ასლს.

მოწყობილობები და აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი შესასრულებელ სამუშაოსთან;

— უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე პირის დიპლომის ასლს.

— ადრე გაცემული ლიცენზიის ასლს.

— საბუთს სამკურნალო საშუალებების საბითუმოდ რეალიზაციის მოცულობის შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია სამუშაო ადგილთან და დასაქმებული კადრების კვალიფიკაციასთან;

—სამკურნალო საშუალებების საცალო რეალიზაციისას, სამრეწველო და შიგა სააფთიაქო დანამზადის სახით, იურიდიულმა პირებმა (ლიცენზიის სუბიექტებმა) უნდა იხელმძღვანელონ საწარმოო და სააფთიაქო საწყობების შესახებ ლიცენზირების ინსტრუქციით, აგრეთვე იმ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტებით, რომლებიც დადგენილია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

2.3 ლიცენზიის გაცემისას, ლიცენზირების სუბიექტებმა უნდა გადაიხადონ ერთჯერადი გადასახადი, დადგენილი ოდენობის ფარგლებში, სალიცენზიო კომისიისა და მოწვეული ექსპერტების შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად.

2.4 ლიცენზიის გაცემაზე გადაწყვეტილება მიიღება: თუ წარმოდგენილი საბუთები წესრიგშია, ექსპერტების შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, განცხადების წარმოდგენიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

თუ გადაწყვეტილების მიღებისას სალიცენზიო კომისიამ საჭიროდ ჩათვალა განმეორებითი ექსპერტიზა, მაშინ ლიცენზიის გაცემის ვადა გაგრძელდება 60 დღემდე, რის შესახებაც განმცხადებელს ეცნობება წერილობითი სახით.

2.5 დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებისას ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში იქმნება შესაბამისი პროფილის ექსპერტთა დამოუკიდებელი კომისია, რომელთა დასკვნების საფუძველზე მიიღება ლიცენზიის გაცემის ან დაკავების (უკანასკნელ შემთხვევაში განმცხადებელს ეცნობება წერილობით) გადაწყვეტილება.

2.6 ლიცენზიის ვადას განსაზღვრავს სალიცენზიო კომისია.

3. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა, ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება

3.1 ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა ხდება იმ შემთხვევაში, თუ 2.1 და 2.3 პუნქტებში ჩამოთვლილი საბუთებიდან არ არის წარმოდგენილი რომელიმე. ლიცენზიაზე უარის თქმა ფიქსირდება დადგენილი წესით და ეცნობება მაძიებელს.

3.2 სალიცენზიო კომისიის გადაწყვეტილება, ლიცენზიაზე უარის თქმის შემთხვევაში შემდგომ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

3.3 უკვე გაცემული ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების საფუძველს წარმოადგენს:

— ჯანდაცვის სამინისტროს დამტკიცებული იმ ნორმატიული მოთხოვნების დარღვევა, რომლებიც ეხება სამკურნალო საშუალებების მიღებას, შენახვას, კომპლექტაციას, გაცემას ან საბითუმო რეალიზაციას (რაზეც სუბიექტი იხდის შესაბამის ჯარიმას დადგენილი ოდენობით);

— სალიცენზიო კომისიაში წარდგენილ საბუთებში არასარწმუნო ინფორმაციის აღმოჩენისას.

ლიცენზიის გაუქმების ან შეჩერების შესახებ წერილობით ეცნობება ლიცენზირების სუბიექტს.

4. ლიცენზირების სუბიექტების უფლება-მოვალეობები

4.1 ლიცენზირების სუბიექტებს აქვთ უფლება:

— ვადაზე ადრე გაიარონ ლიცენზირება, საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლისას.

— სალიცენზიო კომისიასთან შეთანხმებით ლიცენზირების საკითხის განხილვისათვის მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები.

4.2 ლიცენზირების სუბიექტი მოვალეა:

— ლიცენზიის ვადის გასვლისას დროულად წარადგინოს განცხადება და სათანადო საბუთები ახალი ლიცენზიის მისაღებად.

— წარდგენილ საბუთებში შეიტანოს სწორი მონაცემები.

რნალო საშუალებების წარმოებასა და ლიზაციაზე (ლიცენზიის) ნებართვის მიღების წესი

ამდებარე დებულება განსაზღვრავს ფარმაცევტული საქმიანობის სუბიექტისათვის ფარმაცევტული წარმოების კონკრეტული სახეობის განხორციელების უფლების მიცემის პირობასა და წესს. ამასთანავე ადგენს აღნიშნული სახეობის ფარმაცევტული წარმოების იმ მოცულობას, რომლის შესასრულებლადაც უფლებამოსილია ფარმაცევტული საქმიანობის კონკრეტული სუბიექტი. დებულება გამომდინარეობს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობიდან და ეფუძნება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დროებით დე[illegible]ას იურიდიულ და ფიზიკურ [illegible]ის ფარმაცევტული საქ[illegible]ებართვის მიცემის შე[illegible] დებულების წესების დაცვა სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა იმ იურიდიულ პირთათვის, განურჩევლად მათი საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა, რომლებიც ამჟამად აწარმოებენ ან მომავალში აპირებენ სამკურნალო საშუალებების წარმოებას.

1. საერთო დებულება

1.1. სამკურნალო საშუალებების წარმოებისა და რეალიზაციის ლიცენზირება წარმოადგენს ორგანიზაციებისა და წარმოებების (შემდგომში ლიცენზირებად სუბიექტებად წოდებული) სახელმწიფო კონტროლის ძირითად საშუალებას, [illegible] მიერ კანონმდებლობის იმ [illegible]ვნების შესრულებაზე, რო[illegible] განსაზღვრავს სამკურნალო [illegible]ბათა წარმოებასა და რე[illegible]ზე ერთიანი სახელმწიფო [illegible]კის გატარებას.

[illegible].2. ორგანიზაციებსა და წარმოებებს, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ეკრძალებათ ულიცენზიოდ სამკურნალო საშუალებათა წარმოება და რეალიზაცია.

1.3. სამკურნალო საშუალებების წარმოებასა და რეალიზაციისათვის ლიცენზიის გაცემას ახორციელებს საქართველოს ჯანმრთელობის და[illegible]ნისტრო.

[illegible]აქართველოს ჯანმრთელო[illegible]აცვის სამინისტროს სალი[illegible]ომისიის გაცემული ლი[illegible]მოქმედებს საქართველოს [illegible]რიტორიაზე.

[illegible]ქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია იმ სამკურნალო საშუალებათა წარმოება და რეალიზაცია, რომელთა გამოყენება ნებადართულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ და რომელზეც არსებობს ფარმაკოპეის, ან დროებითი ფარმაკოპეის სტატია.

1.6. სამკურნალო საშუალებათა წარმოებისა და რეალიზაციისათვის ლიცენზია უნდა შეიცავდეს:

— ლიცენზირებადი სუბიექტის სრულ სახელწოდებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აღნიშვნით;

— ადგილმდებარეობას (იურიდიულ მისამართს);

— საქმიანობის ნებადართულ სახეს;

— ლიცენზიის რეგისტრაციის ნომერს;

— ლიცენზიის მოქმედების დროს.

1.7. ლიცენზირება ხდება არსებული და ახალი ფარმაცევტული წარმოების შექმნისას, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის შეცვლისას და ლიცენზიის ვადის გასვლისას.

2. ლიცენზიის მიღების წესი

2.1. სამკურნალო საშუალებათა წარმოებისათვის ლიცენზიის მისაღებად ფარმაცევტულმა დაწესებულებამ უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— მოთხოვნა ლიცენზიის მიღებისათვის წარმოების ხელმძღვანელის ხელის მოწერით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს წარმოების ზუსტი დასახელება, მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, საქმიანობის სახე და განცხადება ლიცენზირებისათვის;

— დამფუძნებელი დოკუმენტები (წესდების ან დებულების პირი, სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის პირი);

— შენობის ექსპლუატაციის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საკუთრება, იჯარა და სხვა); მოწყობილობებისა და დანადგარების შესაბამისობა ლიცენზირებისას განცხადებული საქმიანობის განსახორციელებლად;

— სამკურნალო საშუალებათა ჩამონათვალი, სარეგისტრაციო ნომრის, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის ჩვენებით (ფარმ. სტატია და დროებითი ფარმ. სტატია) იმ სამკურნალო საშუალებებისა, რომლებიც დაშვებულია სამედიცინო პრაქტიკაში და დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ;

— ახლად შექმნილი საწარმოსათვის გასაშვები ან საწარმოო რეგლამენტი, რომელიც შეთანხმებული და დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

— საწარმოს ტექნოლოგიური რეგლამენტი, შეთანხმებისა და დამტკიცების წესი;

— პრეპარატის ხარისხისა და ტექნოლოგიური პროცესის დონის ტექნიკური რუკა;

— მეტროლოგიური პირობების უზრუნველყოფის დამადასტურებელი ცნობა;

— ცნობა სამედიცინო ნაწარმის წარმოებისას მისი ხარისხის შიგასაწარმოო კონტროლის სისტემის არსებობაზე, რომელსაც შესაბამისი ატესტაცია ექნება გავლილი საქართველოს სახელმწიფო სტანდარტებისა და წამლის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ინსპექციაში;

— ინფორმაცია საწარმოს ფარმაცევტული საქმიანობის უფლების მქონე კადრებით დაკომპლექტების შესახებ;

— საწარმოში მომუშავეთა სია მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების პირებით;

— ნარკოტიკულ საშუალებათა წარმოებისას, ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული მუდმივმოქმედი ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალური ბრუნვის კონტროლის კომიტეტის გაცემული ლიცენზიის არსებობა;

— ადრე მიღებული ლიცენზიების ორიგინალები;

— ლიცენზიის გაცემისათვის სავალდებულო ერთჯერადი გადასახადის პირი.

2.2. ლიცენზირებადი სუბიექტი პასუხს აგებს მოცემული მონაცემების სისწორისათვის.

2.3. ლიცენზიის გაცემის გადასახადი შეიცავს ნაკრებს, ლიცენზიის გაცემის დროს, კომისიისა და მოწვეული ექსპერტების ხარჯებს. ხარჯების განგარიშება ხდება დადგენილი წესის შესაბამისად.

2.4. მისაღები დოკუმენტაციის მიმართ პრეტენზიების უქონლობის შემთხვევაში ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილება მიიღება არაუგვიანეს 30 დღისა განცხადების მიღებიდან. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა დამატებითი ექსპერტიზა, გადაწყვეტილების მიღება ხდება არაუგვიანეს 60 დღისა, რის შესახებაც განმცხადებელს წერილობით ეცნობება.

2.5. დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების მიზნით იქმნება დამატებითი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან დამოუკიდებელი ექსპერტები — შესაბამისი პროფილის სპეციალისტები. კომისიის დასკვნით ხდება ლიცენზიის გაცემა ან უარის თქმა. უკანასკნელ შემთხვევაში განმცხადებელს ეგზავნება მიწერილობა, რომელშიც განმარტებულია აღმოჩენილი დარღვევა. ლიცენზიის გაცემაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ მიწერილობაში აღნიშნული დარღვევების ან ხელმძღვანელობის ინფორმაციის ხელახალი შემოწმების შედეგად.

2.6. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნიკური დონის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებისადმი — „სამკურნალო საშუალებათა წარმოება და ხარისხის კონტროლის ორგანიზაცია" (GMP — „კარგი საწარმოო პრაქტიკა").

2.7. წარმოება (ორგანიზაცია) მიიღებს რა სამკურნალო საშუალების წარმოებისა და რეალიზაციის ნებართვას, სამკურნალო საშუალებათა ხარისხის კონტროლის ინსპექციასთან შეთანხმებით პირველი ხუთი სერიის ნიმუშებს წარმოადგენს სამკურნალო საშუალებათა სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში წინასწარი კონტროლისათვის.

2.8. დროებითი ფარმ. კოპეის სტატიასთან (ფარმ. კოპეის სტატიასთან) თუნდაც რომელიმე ერთი სერიის მედიკამენტების შეუსაბამოობის აღმოჩენისას, წარმოება ვალდებულია წინასწარი კონტროლისათვის გაგზავნოს გამოშვებული პრეპარატის კიდევ ხუთი სერიის ნიმუში.

2.9. გამოშვებული სამკურნალო საშუალების ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნის საფუძველზე, პრეპარატი იხსნება წინასწარი კონტროლიდან და გადადის შემდგომი კონტროლის რეჟიმზე.

2.10. სამკურნალო საშუალებათა წარმოებასა და რეალიზაციისათვის ლიცენზიის მოქმედების ვა[illegible] განისაზღვრება სალიცენზიო [illegible]მისიის მიერ, მაგრამ არაუმეტეს 3 [illegible]ლისა მისი გაცემის დღიდან.

3. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა, მისი შეჩერება ან გაცემული ლიცენზიის გაბათილება

3.1. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია 2.1. პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტაციიდან ერთ-ერთის უქონლობა ან შეუსაბამობა მოთხოვნების მიმართ.

ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა სალიცენზიო კომისიამ უნდა გააფორმოს წერილობით და გაატაროს სპეციალურ ჟურნალში.

3.2. გაცემული ლიცენზიის მოქმედების შეწყვეტის ან გაბათილების საფუძველს წარმოადგენს:

— წამლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლის სახ. ინსპექციის წარდგინება გამოშვებული სამკურნალო საშუალებების ან სამედიცინო ტექნიკის წარმოების ტექნოლოგიის დარღვევის ან მისი ხარისხის გაუარესების შესახებ;

— სამკურნალო საშუალებათა და სამედიცინო ტექნიკის წარმოებისათვის ჯანდაცვის მიერ დამტკიცებული კანონმდებლობის ან ნორმატიული მოთხოვნების დარღვევისას;

— სალიცენზიო კომისიაში წარდგენილ დოკუმენტებში არასწორი მონაცემების აღმოჩენისას;

— ზედამხედველი ორგანოების წარდგინება შრომის დაცვისა და უსაფრთხოების წესების დარღვევის შესახებ;

— ლიცენზიის მოქმედებას წყვეტს ან ლიცენზიას აბათილებს სალიცენზიო კომისია და ლიცენზირებად სუბიექტს წერილობით აცნობებს.

4. ლიცენზირებადი სუბიექტის უფლება-მოვალეობანი

4.1. ლიცენზირებად სუბიექტს უფლება აქვს:

— აღნიშნული დებულებით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევაში ლიცენზირება დაჩქარებით განიხილოს;

— ლიცენზირების პროცესთან დაკავშირებით სალიცენზიო კომისიასთან შეთანხმებით მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები.

4.2. ლიცენზირებადი სუბიექტი ვალდებულია:

— ლიცენზიის ვადის გასვლის დროისათვის დროულად შეიტანოს განაცხადი და საჭირო დოკუმენტები ლიცენზირებისათვის;

— ლიცენზიის გაცემისათვის გადაიხადოს ერთჯერადი გადასახადი.

4.3. ფარმაცევტული საქმიანობის სუბიექტი, რომელიც აღნიშნულ საქმიანობას აწარმოებს ულიცენზიოდ ან ლიცენზიით დადგენილ ფარგლებს გარეთ, უკანონო საქმიანობისათვის ისჯება შესაბამისი კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული რაიონების გამგებლებს

გაცნობებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრედიტით საქართველოში შ ჩინური წარმოების მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები თავისი მაკომპლექტებ იარაღებით (გუთანი და ფრეზა) და სათადარიგო ნაწილებით.

მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 10 ოქტომბრის №726 დადგენილების შ ჩინური სატრაქტორო ტექნიკის განაწილება საქართველოს ადმინისტრაციულ რაიონებ მათი რეალიზაციის წესის შემუშავება განახორციელა სპეციალურმა სამთავრობო კომის ამ, რომელმაც შესაფერისი მიწის სავარგულების ოდენობისა და მათი პრივატიზების მდგომარეობის გათვალისწინებით გაანაწილა სატრაქტორო ტექნიკა საქართველოს ადმინისტრაციულ რაიონებზე.

რაიონების გამგებლობებს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე დამტკიცებული წესით „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კრედიტის ანგარიშით საქართველოში მოწოდებული ჩინური მცირეგაბარიტიანი სატრაქტორო ტექნიკის რესპუბლიკაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზაციის შესახებ" ევალებათ რაიონისათვის გამოყოფილი კვოტის ფარგლებში 1995 წლის 1 იანვრამდე შეარჩიონ ტრაქტორების შეძენის მსურველი, მიწის დამუშავებასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული გადახდისუნარიანი ადგილობრივი მყიდველები და გაუფორმონ შუამდგომლობა ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნიდან ჩინური ტრაქტორის ყიდვაზე.

მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებული წესის თანახმად ტრაქტორები გაიყიდება შეთანხმებულ ფასებში, სრული საფასურის დაფარვით არა უმეტეს 3 წლის განმავლობაში. მყიდველს ტრაქტორი გაეცემა რაიონის გამგებლობის შუამდგომლობის საფუძველზე, სათანადო დოკუმენტების გაფორმებისა და ტრაქტორის სრული საფასურის სულ ცოტა 20 პროცენტის გადახდის შემდეგ. გადახდა შესაძლებელია მოხდეს კუპონებით (შესაბამის კურსზე გადაანგარიშებით) ან ამერიკული დოლარებით, ნაღდი ანგარიშსწორებითა და გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანას, მისამართით: 380014, ქ.ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. 19, ტელეფონი: 3-45-37, 3-09-45, 3-19-05; ტელეგრაფი: ქუთაისი, ტრაქტორი; ტელეტაიპი: პრიცეპი, 160149.

საგარეო-ეკონომიკური გაერთიანება „საქიმპექსი", ტელეფონი: 99-70-90.

სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე,
საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა
კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე ნ. დუჩიძე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 10 ოქტომბრის №726 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისიის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ რაიონებზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კრედიტით შეძენილი ჩინური მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების განაწილების კვოტები.

სამთავრობო კომისიამ 1994 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე განიხილა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კრედიტის მეშვეობით შეძენილი ჩინური მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და მათი მაკომპლექტებელი საკიდი იარაღების საქართველოს ადმინისტრაციული რაიონებისათვის განაწილების საკითხი და დაადგინა (კომისიის სხდომის ოქმი №3, 29.11.1994 წ.), აღნიშნული განაწილება განხორციელდეს შემდეგი ოდენობით:

1.	აჭარის ა.რ.	— 16		26.	თიანეთი	— 13
2.	ქ.ტყიბული	— 5		27.	კასპი	— 18
3.	ქ.წყალტუბო	— 22		28.	ლაგოდეხი	— 30
4.	ქ.ჭიათურა	— 8		29.	ლანჩხუთი	— 17
5.	აბაშა	— 18		30.	ლენტეხი	— 2
6.	ადიგენი	— 7		31.	ბაღდადი	— 5
7.	ამბროლაური	— 3		32.	მარნეული	— 45
8.	ასპინძა	— 6		33.	მარტვილი	— 12
9.	ახალგორი	— 5		34.	მესტია	— 3
10.	ახალქალაქი	— 46		35.	მცხეთა	— 18
11.	ახალციხე	— 13		36.	ნინოწმინდა	— 39
12.	ახმეტა	— 11		37.	ონი	— 3
13.	ბოლნისი	— 23		38.	ოზურგეთი	— 7
14.	ბორჯომი	— 7		39.	საგარეჯო	— 48
15.	გარდაბანი	— 61		40.	სამტრედია	— 18
16.	გორი	— 40		41.	საჩხერე	— 10
17.	გურჯაანი	— 21		42.	სენაკი	— 15
18.	დმანისი	— 17		43.	სიღნაღი	— 63
19.	დუშეთი	— 14		44.	ქარელი	— 35
20.	ვანი	— 7		45.	ყაზბეგი	— 1
21.	ზესტაფონი	— 9		46.	ყვარელი	— 16
22.	ზუგდიდი	— 18		47.	ჩოხატაური	— 4
23.	თელავი	— 16		48.	ჩხოროწყუ	— 6
24.	თერჯოლა	— 10		49.	ცაგერი	— 4
25.	თეთრი წყარო	— 28		50.	წალკა	— 28
				51.	წალენჯიხა	— 4
				52.	დედოფლისწყარო	— 77
				53.	ხარაგაული	— 5
				54.	ხაშური	— 14
				55.	ხობი	— 19
				56.	ხონი	— 10
				57.	ჯავა	— 3
					სულ:	— 1036

კომისიის თავმჯდომარე: ნ. დუჩიძე

ინფორმაცია

გერმანიის ტელეარხი — ჩეჩნეთის მოვლენებზე

გერმანიაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს საინფორმაციო სამსახურის ცნობით, 8 იანვარს გერმანიის პირველმა არხმა თავისი ყოველკვირეული გადაცემა „პრეს-კლუბი" მთლიანად მიუძღვნა ჩეჩნეთის კონფლიქტს. გადაცემაში მონაწილეობდნენ გერმანიის ცნობილი ჟურნალისტები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ედუარდ შევარდნაძის სიტყვებს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მოუწოდა მსოფლიო თანამეგობრობას მეტი ყურადღება დაეთმო კავკასიაში მიმდინარე მოვლენების, რომ ქაოსმა აღნიშნულ რეგიონში შესაძლოა გავრცელება პოვოს ევროპასა და მთელს მსოფლიოში. გადაცემაში ხშირად ეყრდნობოდნენ ედუარდ შევარდნაძის გამონათქვამებს, შეფასებებს, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მოვლენების თაობაზე გამოითქვა. შეეხნენ საბჭოთა კავშირის რღვევის შედეგად საქართველოში, აზერბაიჯანში, ბალტიის ქვეყნებში განვითარებულ პროცესებს, ხაზგასმით აღინიშნა ჩეჩნეთის ომის კავკასიურ ომში გადაზრდის საშიშროება.

გადაცემას ლაიტმოტივად გასდევდა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ დასავლეთი ისევე მშვიდად, შორიდან შეჰყურებს ამჟამად მიმდინარე მოვლენებს, როგორც თავის დროზე უყურებდა სისხლისღვრებს ბალტიისპირეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში, როდესაც ამ რესპუბლიკებში, საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მოთხოვნით იწყებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

შევინარჩუნოთ კურორტი

ბორჯომის რაიონულ გამგეობაში გამართულ გაფართოებულ თათბირზე, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ სამართალდამცავი ორგანოების, სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელები, [illegible]-სოფლების საკრებულოების გამგებლები, პრინციპულად იმსჯელეს რაიონიდან მერქნის უკანონოდ გატანისა და ტყის ბარბაროსულად გაჩეხვის ფაქტებზე.

რაიონული გამგეობის თავმჯდომარის ჯუმბერ კურტანიძის ინფორმაციაში ნათლად აისახა ის ნეგატიური მოვლენები, რომელთა მიზეზითაც საკურორტო ზონაში იჩეხება ტყე. დიდი რაოდენობით გააქვთ მერქანი და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. დოლარებზე ყიდიან სხვადასხვა ფირმები და კოოპერატივები. აღნიშნული არასახელმწიფო ორგანიზაციები ახერხებენ სათანადო საბუთების მიღებას ეკონომიკის სამინისტროში და მასალის დასამზადებლად ხელშეკრულებას უფორმებენ რაიონის ტერიტორიაზე მოქმედ სახერხ საამქროებს. აღინიშნა ისიც, რომ ტყის უკანონო გაჩეხვის ფაქტების გამო აღძრულია 18 სისხლის სამართლის საქმე. ჩამორთმეულია 500 კუბურ მეტრზე მეტი მერქანი.

დაისახა ღონისძიებანი უკანონოდ მოქმედი სახერხი საამქროების დემონტაჟისათვის და ტყის უნებართვოდ გაჩეხვის აღსაკვეთად.

ჰუმანიტარული დახმარება ამერიკიდან და კანადიდან

— ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ხალხის ქველმოქმედება ყველასათვის საგრძნობი გახდა. საახალწლოდ მორიგი ჰუმანიტარული ტვირთი მივიღეთ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ბორჯომის ბავშვთა ფედერაციის თავმჯდომარემ ქეთევან ნოზაძემ. — „ჯორჯია ინტერნეიშენლის" წარმომადგენელმა, ახალგაზრდა ექიმმა ლევან ხოშობაშვილმა ამჯერადაც ბავშვთა კვების პროდუქტები გამოგვიგზავნა.

ასევე ფართომასშტაბიანი ჰუმანური დახმარება მიღებული წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციისაგან, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოში ავთანდილ ჩაჩიბაიამ. — ამჯერად კანადიდან მივიღეთ კვების პროდუქტები — პურის ფქვილი, ერბო, მუხუდო და სხვა.

საქინფორმი.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში

ჟურნალისტებს მიენიჭათ 1994 წლის პრემიები

ჟურნალისტთა ფედერაციის გაფართოებული სხდომა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ დაიწყო ჟურნალისტებისათვის ღირსების ორდენების გადაცემით. სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით ეს ჯილდოები ერგოთ **ვილენ მარდალეიშვილს** (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა") ნაყოფიერი მუშაობისა და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, **მამედ გიულმამედოვს** (გაზეთი „გიურჯისტანი") საინგილოში ქართული კულტურის კერების აღორძინება-განვითარებისა და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი მასალების შერჩევის შედეგად პრეზიდიუმმა ჟურნალისტთა ფედერაციის 1994 წლის პრემიები მიაკუთვნა: **რუსუდან ლორთქიფანიძეს** („საქართველოს რესპუბლიკა") მასალისთვის „ხვედრი", **ოთარ ხუციშვილს** („საქართველოს რესპუბლიკა") შარშან პრესაში ეკონომიკურ საკითხებზე გამოქვეყნებული მასალებისათვის, **გოგიტა მელიქიძეს** პრესაში დაბეჭდილი და შემდეგ წიგნად გამოცემული სტატიებისათვის სათაურით „დაცემა", **თემურ ქორიძეს** პუბლიკაციისათვის „ფარისეველი", („საქართველოს რესპუბლიკა"), **მერაბ ბერაძეს** (საქართველოს ტელეკორპორაცია) სიახლეთა დანერგვისა და აღმოჩენათა არაორდინარული პროპაგანდისათვის, **ვლადიმერ ალფენიძეს** რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს — სტატიების ციკლისათვის აფხაზეთის შესახებ („საქართველოს რესპუბლიკა") და **გაზეთ „შანსს"** პირველი ნომრის გამოსვლიდან 5 წლის თარიღთან დაკავშირებით. სხდომამ აღნიშნა აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის **ფელიქს დანელიას** მიერ წარმოდგენილი მასალების კომპეტენტურობა.

პრეზიდიუმის წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს ჟურნალისტთა ფედერაციის ასოცირებულ წევრად შესვლა ჟურნალისტთა კავშირების კონფედერაციაში შესაბამისი წესდების უფრო დეტალურად განხილვის შემდეგ. გამოითქვა არგუმენტები, რისი გათვალისწინებითაც ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება ნაყოფის მომცემი იქნება ჩვენი ჟურნალისტებისა და მთლიანად რესპუბლიკისათვის: პირველ რიგში ეს იმოქმედებს ზოგჯერ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში საქართველოს შესახებ არაობიექტურ გაშუქებაზე; კონფედერაციაში გაწევრიანება ხელს შეუწყობს ჟურნალისტთა კონტაქტების გაღრმავებასა და მათი პროფესიონალიზმის ამაღლებას; ამას გარდა, ასეთი თანამშრომლობა გარკვეულ დახმარებას გაუწევს რესპუბლიკის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ჟურნალისტთა სოციალურ საკითხსაც.

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის აკაკი სიხარულიძის ანგარიში შარშან, წლის დამლევს, ევროპული კომისიის მიერ ბერლინის ევროპის აკადემიაში „ტასისი"-ს პროგრამის განხილვის მიზნით მიწვეული საქართველოს. დელეგაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. პარლამენტარებისა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისაგან შემდგარ დელეგაციაში წარმოდგენილი იყო ჟურნალისტთა ფედერაციაც, რომელმაც მის მიერ დაარსებული ტელეხაზით კომპანია „ევრაზიასთან" ერთად სემინარზე წარადგინა პროექტი — „პრესა, როგორც გარანტი დემოკრატიის გაღრმავებისა და შეუქცევადობის მექანიზმების ჩამოყალიბებისათვის".

განხილვა-სემინარზე მოწვეული გერმანელი, ნიდერლანდელი და უკრაინელი პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების მიერ წარმოდგენილ პროექტთა შორის საქართველოს პროექტი სემინარის ორგანიზატორებმა საუკეთესოდ მიიჩნიეს და შემდგომი უახლოესი სემინარის საპროგრამო თეზისებად გააფორმეს.

სემინარის ფარგლებში მოეწყო საქართველოს საინფორმაციო საღამო.

პრეზიდიუმმა დადებითად შეაფასა საქართველოს დელეგაციაში ფედერაციის მონაწილეობა.

სხდომამ განიხილა ჟურნალისტთა შემოქმედებისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის გამიზნული სხვა საკითხებიც.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმი.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია
Федерация журналистов Грузии
The Federation of Journalists of Georgia
FIJ

კარგი ამბავი

ამას წინათ პროფესორმა ბორის ყურაშვილმა ბარათი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ამერიკული ცნობარის „ვინ ვინ არის მსოფლიოში" გამოცემის მეცნიერული ხელმძღვანელი, კანი ჰარიბსონი ბატონ ბორისს ულოცავდა, რომ მისი გვარი შეტანილია ამ ცნობარის მე-12 გამოცემაში, რომელიც ამერიკაში 1995 წელს უნდა გამოვიდეს.

ქართველი მეცნიერი ცნობარში — „ვინ ვინ არის მსოფლიოში"

57 წელიწადზე მეტია, ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და საქართველოს [illegible]-ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ბორის ყურაშვილი. მას გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი (მათ შორის 13 მონოგრაფია), რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც.

ბორის ყურაშვილი ბიოლოგიურ-ჰელმინთოლოგიური სკოლის ფუძემდებელია საქართველოში. პარაზიტოლოგიური მეცნიერების განვითარებაში აქტიური მოღვაწეობისათვის არჩეულია რუსეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრად.

არაერთი ნაშრომი მიუძღვნა მეცნიერმა საქართველოს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების საკითხებს, წყალსატევებისა და ნიადაგის გაბინძურების პრობლემებს.

იგი ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორია „საქართველოს რესპუბლიკის წითელი წიგნის" ზოოლოგიური ნაწილისა, რისთვისაც მინიჭებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია.

ბორის ყურაშვილი მეცნიერების კარგი ორგანიზატორია — ოცდახუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტს. ამჟამად ამ ინსტიტუტის დირექციის მრჩეველია.

ამას წინათ შევხვდით ბატონ ბორისს და ვესაუბრეთ, მაგრამ არა ბიოლოგიისა და ეკოლოგიის პრობლემებზე, არამედ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, საფიქრალსა და საზრუნავზე.

— ბატონო ბორის, 1992 წლის იანვარში თქვენ ოთხმოცი წელიწადი შეგისრულდათ. იმ დღეებში თბილისს აღსანიშნავად ვის ეცალა, ან რა გული ჰქონდა... ახლა როგორია თქვენი განწყობილება? გარეგნულად საოცრად მხნედ — ასაკზე, სულ ცოტა 10-15 წლით ახალგაზრდად გამოიყურებით; ძველებური ენთუზიაზმით შრომობთ. ნუთუ თქვენ არ შეგეხოთ ბოლო ხანს გავრცელებული აპათია, სასოწარკვეთილება, „რა გვეშველება, რა გვეშველებას" სინდრომი?

— რომ გითხრათ არა-მეთქი, დამიჯერებთ? დიახ, უმძიმესი დღეები ჩვენ ყველამ ერთად გამოვიარეთ. განსაკუთრებით მაშინ, ჩემი ოთხმოცი წლისთავის დღეებში. როცა საყოველთაო ანარქიას მოეცვა ჩემი საყვარელი, გადაბუგული და გავერანებული თბილისი. და განა შეიძლება ჩვენი ახლანდელი ყოფა იმ დღეებისას, თუნდაც რამდენიმე თვის წინანდელს რომ შევადაროთ? ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ვერ დაინახოს: ქვეყანაში წესრიგი მყარდება, როგორც იქნა, დაიწყო ეკონომიკური რეფორმები...

— თქვენს ოპტიმისტურ განწყობილებას, სამწუხაროდ, ბევრი არ იზიარებს. და არა მარტო რიგითი მოქალაქეები, ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებიც. ჩვენი პარლამენტის სხდომებზეც დიდი მოთქმა და გოდებაა, ვიღუპებით, საშველი არ ჩანსო.

— უსაშველო არაფერი გვჭირს, თუ გონებას მოვუხმეთ და ახლა მაინც ხელი გამოვიღეთ. თუ მოვერიეთ იმ ბოროტ სენს, რომელმაც ამ ბოლო წლებში დაგვაქცია და გაგვანადგურა — გათიშულობას, შეუწყნარებლობას, დაუნდობლობას. ხშირად მახსენდება ჩეხოვის ერთი პატარა მოთხრობა — „ჭილყვავი". ადამიანი საყვედურობს ჭილყვავს: სამას წელიწადს ცოცხლობ და ამ სამასი წლის მანძილზე ჭამა-სმის, ძილისა და გამრავლების გარდა არაფერი გაგიკეთებიაო, რაზეც ფრინველი უპასუხებს: „დიახ, ბატონო ადამიანო, მე ვიცოცხლე 376 წელიწადი, მაგრამ არც ერთხელ არ მინახავს, რომ ჭილყვავებს ეომათ ერთმანეთთან და ერთმანეთი დაეხოცათ. თქვენ კი არ გახსოვთ წლები, ომები რომ არ ყოფილიყო... ჩვენ არ ვყვლეფთ ერთმანეთს... ცილს არ ვწამებთ, შანტაჟს არ ვუწყობთ... არ გამოვცემთ სალანძღავ გაზეთებს... ჩვენს შორის არ არიან მლიქვნელები, ქვემძრომები, ქლესები, ქრისტეს მოღალატენი"...

აი ასე, რამდენიმე სტრიქონით მოგვცა მწერალმა თავისი ეპოქის საზოგადოების მომაკვდინებელი დახასიათება. როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებს დღესაც, ჩვენს სინამდვილეში არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოზე ყველა ჩვენგანი ოცნებობს, მაგრამ ამის მიღწევის გზები ყველას თავისებურად ესახება. ზოგი უფრო სულსწრაფობს, ზოგის ვარაუდით, ეტაპობრივად უნდა მივაღწიოთ მიზანს.

რა არის ამისთვის საჭირო?

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის (პიროვნების, ორგანიზაციების, პოლიტიკური დაჯგუფებების) შეკავშირება, კონსოლიდაცია საზოგადოებრივი წესრიგის, კანონიერების, დემოკრატიის დასაცავად, თვითნებობის, განუკითხაობის აღსაკვეთად, ჩვენი დღევანდელი ყოფის ნაკლსა და გასაჭირს ვინ არ ხედავს და განიცდის, მაგრამ სულ ამაზე ვიყვიროთ? განუწყვეტლივ ვლანძღოთ მთავრობა და ხელისუფლება? შევარდნაძის ბრალია, დღეს რომ ენერგეტიკული კრიზისი მძვინვარებს, თუ იმათი, ვინც ხუდონჰესის მშენებლობას ებრძოდა, ქუჩა-ქუჩა, მიტინგებზე ხალხს აგულიანებდა და დაასამარეს კიდეც ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი წყარო ენერგიისა. მაგალითების ჩამოთვლა დიახაც რომ მრავლად შეიძლება, გავიხსენოთ თუნდაც ის ისტერიული ალიაქოთი, გაზსადენის მშენებლობას რომ უძღოდა.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: ადამიანები, რომლებსაც შაურის საღირალი არაფერი გაუკეთებიათ საზოგადოებისათვის, მსოფლიოში უდიდესი ავტორიტეტის მქონე პოლიტიკოსს ეტოლებიან, იმ კაცს ებრძვიან, ვინც დღე-ღამეს ასწორებს ქვეყნის სამსახურში, ვინც არაერთხელ დაგვიმტკიცა თავისი ჭკუა, ენერგია, ვაჟკაცობა და დიდსულოვნება.

— თქვენ ვაკის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბრძანდებით, როგორც ვიცით, ვეტერანებს შეხვედრა გქონდათ რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურთან.

— დიახ, იმ შეხვედრაზე ომისა და შრომის ვეტერანებმა სრული ნდობა გამოუცხადეს სახელმწიფოს მეთაურს და აღუთქვეს, რომ ყოველნაირად ეცდებიან შეუწყონ ხელი, მხარში ამოუდგნენ და ხელებდაკაპიწებულმა იშრომონ ქვეყნის გადასარჩენად. ისინი კი ცოტანი არ არიან — ვეტერანები საქართველოს ასაკოვანი მოსახლეობის მესამედს შეადგენენ.

ალბათ, ასე ფიქრობს დღეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი. ღმერთმა ქნას, რომ ამ სულისკვეთებით იშრომოს ჩვენმა პარლამენტმა, რომელსაც არ აკლია ნიჭიერი და პატრიოტი ადამიანები, თუმცა, სამწუხაროდ, მისი სხდომები ზოგჯერ ჩეხოვის „ჭილყვავის" ინსცენირებას მოგვაგონებს. არადა, იმის მოწმეებიც ხომ ვყოფილვართ, როგორი წარმატებით მიმდინარეობს ზოგჯერ სხდომები, რომლებიც პარლამენტის მთავარ საქმიანობას — კანონშემოქმედებას და კანონების დამტკიცებას ეძღვნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს ურთიერთგაგება და ურთიერთნდობა დამკვიდრდება პარლამენტშიც და მთელს საზოგადოებაშიც, აი, მაშინ ნამდვილად გვეშველება.

— ღმერთმა გისმინოთ.

ქეთევან აბაშიძე.

„მგლების" ცხოვრება და აღსასრული

I

ძროხა ვეგეტარიანელია, მგელი — ხორცისმჭამელი. მათი საუკუნო მტრობის საბაბიც, ეტყობა, სწორედ, ეს არის; თუმცა, ძროხა როგორ უმტრობს მგელს, მგელი მტრობს ძროხას. ბიოლოგები ამას არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან, სამართალმცოდნეები, იურისტები კი — სისხლის სამართლის დანაშაულს.

ბიოლოგიურად, ადამიანისადმი ადამიანის მტრობაც არსებობისათვის ბრძოლად არის გამოცხადებული, იურიდიულად — კვლავ სისხლის სამართლის დანაშაულად...

მოდით, ცალ-ცალკე განვიხილოთ ეს შემთხვევები: იქნებ, გავარკვიოთ დღეს, არსებობისათვის გამკაცრებულ ბრძოლაში, როგორ შეფასებას იმსახურებს ადამიანი-მგელი — ეს ბუნებისა თუ თანამედროვე ქართული საზოგადოების განსაკუთრებული ტიპი.

თავდაპირველად, სწორედ, ძროხა-„მგლის" ურთიერთობებზე მოგახსენებთ:

რა „მგლის" საქმეა, რომ ორგანიზაცია „ტრანსსერვისს" დამხმარე მეურნეობა აქვს?

რა ძროხის ბრალია „მგელი" თუ ხორცისმჭამელია?

„აქ მგელიც უბრალოა", — მითხრა ერთმა კეთილმოსურნემ, ეს წერილი რომ წავაკითხე", — „გახსოვდეს მგლის ბუნება"...

ეს ამბავი ძველია, შარშან, 21 ივლისს მოხდა. კარგა ხანს ვცდილობდი, მგლის ბუნებაში ჩაწვდომას, ვერ შევძელი. ამასობაში მკაცრმა თემიდამ განსაჯა და განაჩენი გამოიტანა საზოგადოებამ. ამ განაჩენს სავსებით ბუნებითი, კანონზომიერი უწოდა.

სწორედ, ამ „ტრანსსერვისის" პირუტყვს აძოვებდა მწყემსი მახათას გორაზე; თბილისელებმა იციან, რომ ეს ადგილი ლოტკინის თავზეა და საკმაოდ ლამაზი მდებარეობა აქვს. იმასაც თუ ჩავთვლით, რომ დილის 10 საათი იყო, იქაურობა იდილიისა და რომანტიკულობის სამოსელში გახვეული მოგეჩვენებოდათ. ზოგი ამბობს, იმ დღეს წვიმდაო, ზოგი — მცხუნვარე, მზიანი ამინდი იყოო... საერთოდ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს (მხოლოდ დამწყები პოეტისთვის თუ წარმოადგენს რაიმე ინტერესს).

„მგლის ფხონი" სისწრაფე, მოქნილობა და მჭრელი კბილებია. დაუფიქრებლად გათოკეს მწყემსი და რვა სული მსხვილფეხა პირუტყვი სოფელ ნორიოში წაასხეს. ორი მაშინვე დაკლეს... ოპერატიული ჯგუფი დროულად დაადგა დამნაშავეთა კვალს და პატრონისთვის ოთხი სულის უვნებლად დაბრუნება შეძლო.

დაადგინეს **„მგლებიც"**: პეტრე ონოფრიძე, ირაკლი ასაშვილი, გია ხუბაევი, ნიკო ბუგიანიშვილი და სხვანი.

„მაკაროვიც" ჰქონდათ.

საქმე გამოსაძიებლად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო-საგამოძიებო სამმართველოს გადაეცა.

იმათაც გამოძიებული საქმე სასამართლოს გადაუბოძეს.

დამავიწყდა, მეთქვა, რომ ზოგიერთს ვერ მიაკვლია მართლმსაჯულებამ, გაიქცნენ... ამჟამად, სულ ორი დამნაშავეა გასამართლებული — ხუბაევი და ცოფურიშვილი. პირველს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მეორეს — რვა წლით.

თუ ციხე შიგნიდან არ გატყდა, ცოფურიშვილი იქიდან ღრმად მოხუცებული, 78 წლისა გამოვა. — საიდან შერჩა „ბებერ მგელს" არამი ხორცის საჭმელად ვარგისი კბილები?!

II

ბიჭები, რომლებიც ახლა წინასწარი გამოძიების საკანში სხედან, ნამდვილად იმ მგლებს ჰგვანან, სულ ახლახან 100-100 გრამი გაუზავებელი სპირტი რომ გადახუხეს. ეს გვარიანი შედარება ერთ-ერთ ჩემს მეგობარს დაებადა. საინტერესოა, მართლა, სვამენ თუ არა „მგლები" გაუზავებელ სპირტს, ისე კი თვალები სწორედ, რომ სპირტივით უკამკამებთ — ცივად და სამტროდ.

ნოდარ კევლიშვილი უხამსი სიტყვებით მიმართავდა ტელეოპერატორს, რომელიც თითქოს თავისი საქციელით ებრძოდა ჯაბა იოსელიანს, მის ავტორიტეტს... სამართლიანად შენიშნა ჩემმა კოლეგამ ზაზა ბილიხოძემ. — საკითხავია, ვინ ებრძოდა იმ მომენტში ბატონ ჯაბა იოსელიანს — ტელეოპერატორი თუ კაცის მოტაცებისათვის დაკავებული ნოდარ კევლიშვილი...

ნოდარი კახეთის რეგიონის „მაშველთა კორპუსის" წევრია; საერთოდ, ხროვა ოთხწევრიანია — სამთავრობო დაცვის თანამშრომელი ნოდარ გუდაშვილი, უმუშევრები პაატა კოპალიანი და ვახტანგ აფციაური.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

არის მეხუთეც.. ასევე „ბებერი მგელი" ერთ-ერთი მეურნეობის ყოფილი დირექტორი, მოტაცებულის ახლობელი, 60 წლის თენგიზ ალავიძე. სწორედ, მისი ინიციატივითა და თაოსნობით, ფულის გამოძალვის მიზნით, მოიტაცეს უცხოეთში მცხოვრები და ამ გაჭირვების ჟამს სამშობლოში დასახმარებლად ჩამოსული ჩვენი თანამემამულე.

17 დღე ჰყავდათ დატყვევებული. გამოსძალეს 40 ათასი ამერიკული დოლარი და კიდევ 300 ათასის გამოძალვას აპირებდნენ.

ამ ფულით უკვე მოესწროთ ავტომობილების „ფორდისა" და „ნივის" შეძენა. დაკავებისას ყაჩაღებს უპოვეს გერმანული მარკები, ინგლისური გირვანქა სტერლინგები, შვეიცარიული ფრანკები და სხვადასხვა ძვირადღირებული ნივთები.

თქვენთვის ნაცნობ მიზეზთა გამო, ვერ ვასახელებ დაზარალებულის გვარს. ის მდიდარი კაცია და თავის ქვეყანაში კეთილი საქმისათვის — ფულადი და მატერიალური სახსრების დასაბანდებლად ჩამოვიდა. ვერ მოახერხა, რადგან მისი ქვეყანა ჯერჯერობით, ჯუნგლის კანონით ცხოვრობს.

III

ამ შემთხვევას ძველს ვერ დავარქმევ, ახალია, ოღონდ გაცილებით ადრე დაიწყო.

გემახსოვრებათ, ზემო და ქვემო იმერეთის [illegible] ბელ თამაზ პეტრიაშვილის, მეტსახელად [illegible] ტური ჯგუფი.

წინამძღოლის სიკვდილის შემდეგ, [illegible] ლევი, ყველაზე თავზეხელაღებული და სასტიკი ბანდიტი ბადრი ბუცხრიკიძე ჩაუდგა სათავეში.

ორ იანვარს თერჯოლის რაიონის სოფელ მევრის პოლიციის საგუშაგოსთან თეთრმა „ჟიგულმა" ჩამოიქროლა. პოლიციელებმა ანიშნეს, გაჩერდიო. ამის საპასუხოდ, ავტომატით დაცხრილეს საგუშაგო და დიდი სისწრაფით გაეცალნენ იქაურობას.

ივარგეს პოლიციელებმა და რამდენიმე საათში დააკავეს ავტომანქანის მფლობელი — ჩხარის ღვინის ქარხნის მუშა იური რობაქიძე.

მეორე დღეს, თერჯოლის რაიონის პოლიციის სამძებრო ინსპექტორის თამაზ ისაკაძის სახლს თეთრი „ნივა" მიადგა, იქიდან ორი ავტომატიანი ახალგაზრდა გადმოვიდა.

ეზოში ორი პატარა ბავშვი თამაშობდა. ყაჩაღმა ერთ-ერთი ხელში აიყვანა, წინ აიფარა და რა დარწმუნდა, რომ ოჯახის უფროსი, პოლიციელი, შინ არ იყო, შეშინებულ მშობლებს უთხრა: **„მე ბადრი ბუცხრიკიძე ვარ.** წადით, შეატყობინეთ პოლიციას და მოსთხოვეთ, რომ იური რობაქიძე გამოუშვან, თორემ ბავშვს მძევლად წავიყვანო"...

წავიდა ბაბუა.

პოლიციის უფროსმა ვახტანგ წიწილაშვილმა შეადგინა ოპერატიული ჯგუფი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას დაურეკა.

სამინისტროს ხელმძღვანელობის რჩევით, ბავშვის უსაფრთხოების მიზნით, ყაჩაღის მოთხოვნა შეასრულეს; ამასთან, შეუმჩნევლად დაადევნეს პოლიციის ოთხკაციანი ოპერატიული ჯგუფი. ზესტაფონიდან და თბილისიდან დახმარებასაც ელოდნენ.

ზემო საზანოს ღვინის ქარხანაში შესულმა ბანდიტებმა შენიშნეს პოლიციელები და სროლა აუტეხეს.

შეუპოვრად განაგრძობდნენ ბრძოლას ორმხრივი სროლისას დაჭრილი სამძებროს ინსპექტორები — მალხაზ კენჭოშვილი და თამაზ ისაკაძე.

უეცრად „ნივიდანაც" ატეხეს სროლა. რიგითმა ალეკო ბალანჩივაძემ ზურგიდან მოუარა ავტომანქანას და ხელში ორი ქალბატონი — ბადრი ბუცხრიკიძის დედა ნანული გურგენიძე და ყაჩაღის და — ნატო შერჩა.

ყაჩაღებმა მოახერხეს ფანჯრიდან გადახტომა, გაჰყვნენ მდინარეს და დასახლებაში მიიმალნენ.

ამასობაში, დამხმარე ძალაც მოვიდა.

მოსახლეობა გახიზნეს და სოფელს ალყა შემოარტყეს. ამოწმებდნენ თითოეულ სახლს. ის იყო, მოქალაქე ზურაბ კირკიტაძისას მივიდნენ, რომ ავტომატისა და ხელყუმბარების ცეცხლი დაატყდათ თავზე.

ერთსაათიან ორმხრივ სროლაში სახლს ხანძარი გაუჩნდა. ბადრი ბუცხრიკიძე სასიკვდილოდ დაიჭრა და მისი მოუსვენარი გვამი ხანძარმა შთანთქა. ალმოდებული სახლიდან სროლით გამოვარდა მეორე ყაჩაღი, ქურდობისა და პოლიციელებზე თავდასხმისათვის ძებნილი ბეგლარ ბერუაშვილი, ისიც ადგილზე მოკლეს.

„ნივა" იმ დილით ძევრელ გიორგი ბარათაშვილისთვის წაერთმიათ. ჰქონდათ სამი ავტომატი, დამბაჩები...

მგელს ისეთი ბუნება აქვს, მისგან მიყენებული წყენისა და ზარალის მეტი არაფერი არ გვახსოვს; ისე კი, [illegible] და მაინც ცოდოა სასიკვდილოდ.

ზაურ მაკარაძე.

...მცირედის შეი

იყო დრო, თბილისელთა საახალწლო სუფრის სიუხვეზე ზრუნავდნენ „თბილქალაქვაჭრობაც", ცეკავშირიცა და დედაქალაქთან ახლომდებარე რაიონების მეურნეობებიცა და კოლმეურნეობებიც.

ამჯერად სახელმწიფოს მეთაურისა და პრემიერ-მინისტრის განკარგულებით უწყებებისა და სამინისტროების, ფირმებისა და ასოციაციების ყურადღება ხიზნებისაკენ იყო მიპყრობილი.

ძნელია კერაჩაფერფლილი კაცისთვის სხვის ჭერქვეშ ზეიმი, მაგრამ მასპინძლის გულგახსნილობასა და გულკეთილობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ამიტომაც არ დაიშურა არაფერი სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ სისტემაში მომუშავე ხიზანთა საზეიმო გუნება-განწყობის შესაქმნელად, მათი საახალწლო სუფრის დასამშვენებლად და ახალი წლის წინა დღეებში უსასყიდლოდ გადასცეს ხორცი, შაქარი, ხილი, ბოსტნეული.

ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრომ კი დედაქალაქელებსაც და ხიზნებსაც თანაბრად გაუნაწილა შაქრის ფხვნილი (ობიექტური მიზეზების გამო სხვა ვერაფერი შეძლო).

მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა ასოციაციამ (პრეზიდენტი მარიამ ძაძამიძე) საახალ-
წლოდ ხი
მიძღვნილი,
ებისა. თ
თვის ეს
საჩუქარი,
თა უქო
ძვირფასი
აღმოჩნდა.
— ეტყო
დებით ჩვე
გვალამაზებ
თმა,
სამწუხარო
ზის გამო
სახელმწიფო
მიერ-მინისტ
რეალიზების
ფორმაცია.
ცხადზე
ქმნას გან
დება, ი
ხოს.
საქარ
დაქალაქ
ოციაცია,
ტო საახა
ლდღიურ
თვის, მ
გალითო
„საქართ
შეზღუდ
საზოგადო
კვანტრიშვი
აბ ცქიტიშვი

ლეი

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა წარუმატებლად დაიწყო გერმანული ტურნე. ქალაქ კელნის მინი-ფეხბურთის ტურნირის ქვეჯგუფში საქართველოს ჩემპიონები დამარცხდნენ ბუნდესლიგის კლუბებთან — „შტუტგარტთან" და „კარლსრუესთან" (4:7 და 3:6) და გამოეთიშნენ ასპარეზობას.

ჰამბურგში დასრულებული ანალოგიური ტურნირის ფინალში მოსკოვის „სპარტაკმა" ანგარიშით 4:1 სძლია შვედეთის „ნორჩიოპინგს".

საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. გთავაზობთ ზოგიერთ შედეგს: „ა" ჯგუფი. დანია — საუდის არაბეთი 2:0. 3-3 ქულით დაწინაურდნენ დანიელი და მექსიკელი ფეხბურთელები. „ბ" ჯგუფი. არგენტინა-იაპონია 5:1. 3-3 ქულით ლიდერობენ არგენტინა და ნიგერია.

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთე-
ლი, ბრაზილიე
ნეთის „ბარს
ლოში ბრონ
წერა ახა
მენგოსთ
ბაა 7 მ
ფრანკფუ
ნგი თავდა
ამერიკიდან
იუნაიტედში".

რეპეტიცი ტასმანია

14 იან
ტებზე ი
გბურთელ
ტურნირი
ვანი ასპარ
ლია ჩემპიო
ამ პრესტ
ვის მზადები
ქვეყნის საუკე ჩოგ
ლელა მესხი კუნძულ ტასმა
მიმდინარე საერთაშორისო ტ
ნირში ჩაება. პირველ წრეში
ამერიკელი სანდრა კასიკი და-
რიხა.

ოთხი ლიდ

თბილის
ჩემპიონა
რის 21
რული ს
ართება.
5 ტურ
ნენ გივი გ
რაცხელია,
და რუზველტ
ორი უძლიერეს
ჩემპიონატში თამ
მოიპოვებს.

ხსოვნა

გაიოზ იაკაშვილ

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის
გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტ
საქართველოს ხელოვნების დამსახურ
მოღვაწე, გაიოზ ილიას ძე იაკაშვ
დაიბადა 1923 წელს თბილისში.
დამთავრებისთანავე — 1941 წლიდ
და მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე. დემობილიზ
დეგ, 1947-1951 წ.წ. სწავლობდა საქართველოს შოთა
ლის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტ
ლის დამთავრების შემდეგ მუშაობა განაგრძო
ოსტატობისა და რეჟისურის კაბინეტის გამგე
გაიოზ იაკაშვილი გამოირჩეოდა საზოგადოებ
ინტენსიური მოღვაწეობითა და საქმისადმი
დასხვა დროს იგი მუშაობდა პარტიულ, პრო
გებ თანამდებობებზე, მაგრამ მთელი თავის
რება ხელოვნების სამსახურს შეალია.
1961-1978 წ.წ. გაიოზ იაკაშვილი საქართვე
საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის
ლეა. აქ მუშაობის პერიოდში მან ბევრი სასიკე
ქართული თეატრის მოღვაწეებისათვის. შემდეგ ი
ძილზე მუშაობდა საქართველოს ხელოვნების მუ
დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად.
თავისი ცხოვრების ბოლო წლები მან მთლიანად თეა
კავშირა. იყო რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატ
რექტორი, თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო
სული თეატრის დირექტორი, კულტურის სამინისტროს დ
ტული თეატრების განყოფილების უფროსი ინსპექტორი, ბოლ
კი ახლადდაარსებული გურჯაანის თოჯინების სახელმწიფო თე
რის სალიტერატურო ნაწილის გამგე.
გაიოზ იაკაშვილი რამდენიმე მეთოდური ხასიათის წიგ
ტორია. მას ეკუთვნის ინსცენირებები, პიესების თარგმ
სხვა.
იგი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მე-2
წითელი ვარსკვლავის ორდენებით და ათი მედლ
წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პიროვნება,
კეთილმოსურნე კაცი, პროფესიონალი, ჰუმან
და ქართული თეატრის ამაგდარი.

საქართველოს რესპუბლიკის კულტ
საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი;
ჯაანის თოჯინების სახელმწიფო თეატრი.

საქართველო-თურქეთის ერთობლივი კომერციული ბანკი
„ევრობანკი"
eurobank კერძო და იურიდიულ
მოგემსახურებით ყველა
საბანკო მომსახურებით;
eurobank ვიღებთ აგრეთვე ანაბრებ
ლი საპროცენტო განაკვეთი
გახსოვდეთ, ჩვენთან თანამშრომ
მომგებიანია!
eurobank გენერალური ლიცენზია №1-24,
გაცემული საქართველოს ეროვ
ბანკის მიერ 20.04.1994 წ.
ჩვენი მისამართია:
კონსტანტინე გამსახურდიას გამ
ტელ: 22-16-07, 22-04-11, 37-

მთავარი რედაქტორი [illegible]